სამტრედიის მაცნე

გაზეთი გამოდის
1930 წლის
5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

№11 (9388) | 15 ივნისი. 2023 წელი | ფასი 75 თეთრი

2 პრემიერ-მინისტრმა უეფას 21 წლამდე ნაკრებთა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ჩასატარებლად აშენებული ობიექტების და იმერეთში განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერა

2 სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები სამტრედიაში უარი დისკრიმინაციას

2

3 მრავალბინიან კორპუსებში პრობლემები გვარდება

3 წითელიშვილების უბანში გზა დაიგო

5 სამტრედიაში მოძრაობა "ჰუმანური თაობა" დაფუძნდა

3 პროექტი საქართველოს 20 ქალაქის 30 საჯარო სკოლაში განხორციელდება

პავშვთა დაცვის დღეს გილოცავთ, პავშვებო!

"კოლხეთის თასის" გამარჯვებული მეთერთმეტე საჯარო სკოლაა 6

4

პრემიერ-მინისტრმა უეფას 21 წლამდე ნაკრებთა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ჩასატარებლად აშენებული ობიექტების და იმერეთში განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერა

ნინო ნანიტაშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ჩატარებული სამუშაოები დაათვალიერა. მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე თავიდან მოეწყო საინჟინრო სისტემები, გაგრილების, გათბობის, წყალმომარაგების, წყალარინების და უსაფრთხოების. სტადიონი აღჭურვილია აბსოლუტურად ყველა აუცილებელი სივრცით. სპორტსმენებისთვის, ჟურნალისტებისთვის, ოპერატორებისთვის, კომენტატორებისთვის და მატჩის მსვლელობაში, გაშუქებაში თუ მომსახურებაში ჩართული პირებისთვის. დამონტაჟდა გახმოვანებისა და უსაფრთხოების ახალი სისტემები, ახალი სკამები, ელექტრონული ტურნიკეები, ლედ სარეკლამო კედლები.

პრემიერ-მინისტრი მიხეილ მესხის სტადიონის დათვალიერების შემდეგ იმერეთში გამოემგზავრა, სადაც ქუთაისის რამაზ შენეგლიას სახელობის სტადიონი და ქუთაისში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აკადემია დაათვალიერა.

პრემიერი სპორტულ ობიექტებთან ერთად იმერეთში სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებს გაეცნო. საქართველოში უეფას 21 წლამდე ნაკრებთა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ღირსეულად ჩასატარებლად აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 10 ინფრასტრუქტურულ ობიექტს. სტადიონების სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოები რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა შეასრულა, რისთვისაც საქართველოს მთავრობამ 115 მილიონი ლარი გამოყო.

უეფას 21 წლამდე ევროპის ჩემპიონატი საქართველოსა და რუმინეთში 21 ივნისიდან 8 ივლისის ჩათვლით, საქართველოს სამ ქალაქში, თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში გაიმართება.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები სამტრედიაში უარი დისკრიმინაციას

ლევან გაბეჩავა

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, მუნიციპალური გენდერული საბჭოს თავმჯდომარე ნათია პაპავა, გენდერული საბჭოს წევრები და მერიის პასუხისმგებელი პირები ესწრებოდნენ 2 ივნისს მერიის საკონფერენციო დარბაზში გამართულ შეხვედრა-ტრენინგს.

საუბრის თემა ამჯერად დისკრიმინაციას შეეხებოდა. პრეზენტატორები კი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები, **ანა კვაჭაძე და გიორგი ტყებუჩავა** იყვნენ.

მათ ამომწურავად ისაუბრეს თემის ირგვლივ, იყო აზრთა სხვადასხვაობა, თუმცა, საათნახევრიანმა შეხვედრამ, მაინც საქმიან, გულახდილ ვითარებაში ჩაიარა.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, საზოგადოების წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, მსგავსი შეხვედრების პერიოდულად გამართვა მართლაც შეუწყობს ხელს რიგ საკითხებში მასების მეტად გაცნობიერებას, სოციუმის ცნობადობის ამაღლებას.

კიდევ ერთხელ ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე

თეა ბაბუნაშვილი

საკუთარ სამაჟორიტარო უბანში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები, ქალაქის მაჟორიტარმა დავით ჯანელიძემ მუნიციპალიტეტის მერთან,დავით ბახტაძესთან ერთად დაათვალიერა. თავდაპირველად აღმაშენებლის ქუჩის მეორე შესახვევში მიმდინარე სამუშაოებით მოინახულეს. საავტომობილო გზა, რომელიც აქ არაერთი წელია მოწესრიგებული არ ყოფილა, ამჯერად ?/ მეტრზე, ??/ სმიანი განით ასფალტით მოპირკეთდება. სამუშაოებს, რომლის მოცულობაც ???/ ათასი ლარია, შპს "დათა" ასრულებს.

რიონის ქუჩის მოსახლეობისთვის ადიდებული რიონით დატბორვის საკითხი რამდენიმე ათეული წელია დიდი თავსატეხია. ამჯერად, ანუ მას შემდეგ, რაც სანიაღვრე არხები მოწესრიგდება თავისი ცხაურებით და სპეციალური არხით იქვე მდებარე მდინარე ჭურთავას დაუკავშირდება, პრობლემა მოგვარდება. ამის დიდი იმედი აქვს იმ ქუჩის მოსახლეობას. "საშვილიშვილო საქმე კეთდება. ვფიქრობთ, ამიერიდან რიონი ვეღარ დატბორავს ჩვენს საკარმიდამო ეზოებსა და სახლების პირველ სართულებს. ერთი მხრივ ავტობანი შეაკავებს მას, ახლა კიდევ, მოწესრიგებული წყალსაწრეტი არხები დაემატება." – ამბობს რიონის ქუჩის მკვიდრი, ინეზა თევზაძე. ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ დაფინანსებულ, დაახლოებით, 55 ათასი ლარის სამუშაოს შპს "მარშალი" ასრულებს. როგორც მისი დირექტორი ლევან წინწკალაძე ამბობს, "სამუშაოების დასრულება გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში მოხდება. თუ არ შეგვაფერხა იმ გარემოებამ, რომ იმ ტერიტორიაზე, სადაც არხი უნდა გავჭრათ, გადის მაგთის ბოჭკოვანი კაბელის ზღვით გამავალი ხაზი, ბაქო-საქართველო-ერევნის დამაკავშირებელი. არსებობს მისი დაზიანების საშიშროება. პრობლემა თავიდან რომ ავიცილოთ, მივმართეთ შესაბამის კომპანიას და ველოდებით სპეციალისტებს, რომლებიც ზუსტად გვეტყვიან კაბელის მდებარეობას."

მუნიციპალიტეტის მერი დავით ბახტაძე მაჟორიტარ დავით ჯანელიძესთან ერთად ლტოლვილებით დასახლებულ ე.წ. რკინიგზის საავადმყოფოს ყოფილ შენობაში მიმდინარე გადახურვითი სამუშაოების დასათვალიერებლადაც იმყოფებოდა. აქ იცვლება როგორც შენობის სახურავი, ისე წყალსაწრეტი მილები. როგორც გაირკვა, ამ შენობაზე შეცვლილი თუნუქის სახურავი, რომელიც, ბუნებრივია, ვარგისია, საჭიროების შემთხვევაში სოციალურად დაუცველ მოსახლეობას გადაეცემა. გარდა ამისა, გადახურვითი სამუშაოები მიმდინარეობს აღმაშენებლის ქუჩის პირველ შესახვევში არსებულ საერთო საცხოვრებელშიც.

ქალაქის მაჟორიტარი დავით ჯანელიძე აღნიშნავდა: "თავად მშენებელი გახლავართ და შემიძლია ვთქვა, რომ ყველა მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაო, ხარისხის მაღალი სტანდარტით სრულდება. ყველა მათგანზე მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე გაკეთდა აქცენტები. მომავალშიც გათვალისწინებული იქნება მოსახლეობის საჭიროებები."

ყველა სამუშაო, რომელიც დავით ბახტაძემ ამ ეტაპზე მოინახულა, მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე ადგილობრივი ბიუჯეტით ფინანსდება: "ამჯერად მხოლოდ ეს ოთხი ობიექტი მოვინახულეთ მონიტორინგის სახით. მოსახლეობისთვის ცნობილია, რომ ჩვენს ქალაქში კიდევ არაერთ ლოკაციაზე მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის შეცვლა-განახლება. ჩვენი პრიორიტეტი მოსახლეობაზე მორგებული პროექტების განხორციელებაა." – განაცხადა მუნიციპალიტეტის მერმა და ხაზი გაუსვა, რომ ყველა სამუშაოსთვის შესრულების ხარისხი განმსაზღვრელია.

მრავალბინიან კორპუსებში პრობლემები გვარდება

თეა ბაბუნაშვილი

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის განვითარება საუკეთესო გამოსავალია მრავალბინიანი კორპუსების ინფრასტრუქტურული და სამეურნეო პრობლემების მოსაგვარებლად. გამომდინარე აქედან, ამ პროგრამის განვითარება მუნიციპალიტეტის მერიისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისგან დაყენებული ინიციატივები სულ უფრო იმატებს და ამა თუ იმ კორპუსის მცხოვრებთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებსაა მორგებული. პროექტის ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტისა და ცალკეული კორპუსის მცხოვრებლების თანადაფინანსებით მიმდინარე წელს 10-ზე მეტი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი გადაიხურა. გარდა ამისა, აქტიურად მიმდინარეობს საერთო სარგებლობის სივრცეების, მათ შორის ეზოების მოწესრიგება და ასფალტის საფარის დაგება. ამ დროისთვის, ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს "ლატექსი", დუნდუას ქუჩაზე №1 და 1-ა, ხოლო აღმაშენებლის გამზირზე №314 საერთო საცხოვრებელი სახლების ეზოების მოასფალტებაზე მუშაობს. სამუშაოები მალე დაიწყება რობაქიძის ქუჩაზე №28 და №65, ჯავახიშვილის ქუჩის №3 და დაბა კულაშში, რუსთაველის ქუჩის №40 ბინებში. ამავე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დაბა კულაშში, საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით სრულდება. სამტრედიის უძველეს უბანში, ე. წ. "ნახალოვკაში", დუნდუას ქუჩაზე მდებარე საერთო საცხოვრებელი სახლის ეზოში მიმდინარე სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა დავით ბახტაძემ საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილე ვაჟა სტურუასთან ერთად დაათვალიერა. მათ მიმდინარეობას ქალაქის ტერიტორიულ ერთეულში მერის წარმომადგენელი თენგიზ ცაგურიაც ადევნებდა თვალყურს. "იმედი მაქვს, რომ ამ პროექტების განხორციელების შემდეგ, ადგილობრივებისთვის კომფორტული საცხოვრებელი პირობები შეიქმნება." – აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა დუნდუას ქუჩაზე მიმდინარე სამუშაო პროცესების დათვალიერებისას.

წითელიშვილების უბანში გზა დაიგო

ნინო ნანიტაშვილი

გომის თემის სოფელ მთისძირში 1300 გრძივი მეტრი ასფალტ-ბეტონის გზა დაიგო. ეს უკანასკნელი წითელიშვილების უბანში აქამდე უკიდურესად ამორტიზებული იყო. ადგილობრივებს უჭირდათ ადმინისტრაციულ ცენტრთან, სკოლასთან საბავშვო ბაღთან მისვლა. ამდენად, გზის მოწესრიგება მთისძირის მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო.

პროექტის ღირებულება 528 00 ლარს შეადგენს. სამუშაოებს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრითა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. სამუშაოებს აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია "ჯორჯიან ბილდი", დაახლოებით ორი კვირაა, გომის თემი სოფელ მთის ძირში გზის ასფალტბეტონის მოსამზადებელ სამუშაოებს ატარებს.

ჩატარდა ნიადაგის გარკვეული ნაწილის მოჭრა-მოწესრიგება, ახალი ბალასტის შემოტანა, ისევ გასწორება და დატკეპვნა.

29 მაისისთვის კონკრეტული ლოკაცია მზად იყო ასფალტის დასაგებად. მერმა, დავით ბახტაძემ, მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან, ზურაბ გოგიასთან, მაჟორიტარ დეპუტატთან, ჯონი თევზაძესთან და მერის წარმომადგენელთან, ზაზა ნიკოლეიშვილთან ერთად დაათვალიერა. ხალხის თქმით, სამუშაოები გეგმა-გრაფიკის მიხედვით ჩატარდა.

პროექტი საქართველოს 20 ქალაქის 30 საჯარო სკოლაში განხორციელდება

თეა ბაბუნაშვილი

პროფესიული სწავლების პრიორიტეტულობა დასაქმების ბაზარმა დროის მოთხოვნად აქცია. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, დიპლომანიით შეპყრობილ საქართველოში, წინა თაობებისგან განსხვავებით, ახალი თაობის დაინტერესება სხვადასხვა პროფესიის ხელსაქმის დონეზე დასაუფლებლად სულ უფრო იზრდება.

მას შემდეგ, რაც პროფესიული სწავლების განვითარებაზე მუშაობა საგანმანათლებლო სექტორისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა გახდა, კოლეჯების გარდა საჯარო სკოლებშიც გადაწყდა ამ კუთხით ყურადღების გამახვილება. 2018 წელს განათლების სამინისტროსა და პროფესიული განათლების სააგენტოს მიერ გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე, მუნიციპალიტეტში მოსწავლეთა კონტინგენტით ყველაზე დიდი მეთერთმეტე საჯარო სკოლის ბაზაზე, პროფესიული სასწავლებელი დაფუძნდა. აზიის განვითარების ბანკის ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში, კონკურსში გამარჯვებული მეთერთმეტე საჯარო სკოლა ამ პასუხისმგებლობაზე თავის გასართმევად სათანადო სიახლეებს გეგმავს. მსგავსი პროექტი საქართველოს 20 ქალაქის 30 საჯარო სკოლაში განხორციელდება. როგორც მე-11 საჯარო სკოლის დირექტორი ნანა მანჯგალაძე აცხადებს, თავდაპირველად სკოლის ეზოში შესაბამისი შენობის აშენება გახლდათ განსაზღვრული. მეთხუთმეტე საჯარო სკოლის ლიკვიდაციის შემდეგ,რაც სკოლა-პანსიონების რეფორმამ განსაზღვრა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობის გამო, მეთერთმეტე სკოლაში ახალი კორპუსის აშენების ნაცვლად, ყოფილი მეთხუთმეტე საჯარო სკოლის შენობის გამოყენების გადაწყვეტილება იქნა მიღებული. განათლების სამინისტროსა და პროფესიული უნარების სააგენტოს ხელშეწყობით, აქ ამჯერადაც არის და საჭიროების შემთხვევაში სამომავლოდაც შეიქმნება შესაბამისი გარემო მოსწავლეებისთვის სასურველი პროფესიების დასაუფლებლად.

თავის მხრივ, მეთერთმეტე საჯარო სკოლამ მეგობრული მემორანდუმი გააფორმა ქუთაისში არსებულ პროფესიულ კოლეჯ "იბერიასთან", რომელიც ამ ეტაპზე მათ ერთწლიან ურთიერთობას განსაზღვრავს.

ამჯერად სამთვიანი კურსის დონეზე, შესაბამისი სერტიფირებით, კოლეჯ "იბერიას" მიერ მივლენილი სპეციალისტი გრაფიკულ დიზაინს შეასწავლის დაინტერესებულ მოსწავლეებს. ჯგუფში 18 მოსწავლეა გაერთიანებული, თუმცა, სურვილის მიხედვით მათი რიცხვის გაზრდა შესაძლებელია. გარდა ამისა, იგეგმება ტურიზმის, სტილისტის, კულინარიის შემსწავლელი კურსის დაკომპლექტებაც. რადგან სამტრედიისთვის რკინიგზა ახლო თემაა, მიდის მოლაპარაკება, სარკინიგზო ელექტროინჟინერიის შესწავლის პერსპექტივაც მისცენ მსურველებს. როგორც ნანა მანჯგალაძე აცხადებს, სამომავლო მოლაპარაკების თემა ამ და კიდევ სხვა პროფესიების როგორც მოკლე, ისე გრძელვადიანი კურსის გავლა იქნება. კოლეჯის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი. თავდაპირველად მხოლოდ მეთერთმეტე საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის გახლდათ განსაზღვრული პროფესიული სწავლების კურსი, მაგრამ რადგან დაინტერესება მოსალოდნელზე მეტი აღმოჩნდა და სასწავლო ბაზაც იძლევა ამის საშუალებას, სხვა სკოლების მოსწავლეებსაც შეუძლიათ პროგრამაში ჩართვა. "თავდაპირველად მხოლოდ ჩვენი სკოლის მოსწავლეებისთვის გახლდათ განსაზღვრული ამ პროფესიულ სასწავლებელში სხვადასხვა პროფესიაზე დაუფლების შესაძლებლობა. თუმცა, მოთხოვნის სულ უფრო გაზრდის შემდეგ, რადგან შესაბამისი ბაზაც არსებობს, ეს შესაძლებლობა სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებსაც მიეცემათ. ეს გადაწყვეტილება მერვე-მეთორმეტე კლასების მოსწავლეების გამოკითხვის შედეგად მივიღეთ. მსურველებს საკუთარი განაცხადის საფუძველზე, კოლეჯ "იბერიასთან" დადებული მემორანდუმით, სამთვიანი პროგრამების გარდა გრძელვადიან, ანუ სამწლიან პროგრამებზეც შეუძლიათ განაცხადის შევსება. ამ ეტაპზე, ანუ დასაწყისისთვის, 18 მოსწავლით დაკომპლექტებული ერთი ჯგუფი გვყავს, რომელიც სწავლას სასწავლო წლის ბოლოს დაასრულებს. ახალი სასწავლო წლიდან კი მნიშვნელოვანი სიახლეებით დავხვდებით პროფესიული განათლების მიღების მსურველებს." – ამბობს მე-11 საჯარო სკოლის დირექტორი.

სასწავლებელში სტუმრად მყოფი მუნიციპალიტეტის მერი საუბრობდა იმაზე, რომ: "'განათლების დარგის განვითარება, ჩვენი ხელისუფლების პირობებში პრიორიტეტული მიმართულებაა. მნიშვნელოვანია, რომ განსაკუთრებით მაღალ ინტერესს პროფესიული განათლების განვითარება იწვევს, ვინაიდან, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა ყველა მიმართულებით თვალში საცემია შესაბამისად, ეს პროექტი განსაკუთრებით დასაფასებელია. ყოფილი მე-15 საჯაროს ბაზაზე, აწ უკვე მე-11 საჯარო სკოლის კუთვნილებაში პროფესიული განათლების მსურველთა ჯგუფების სიმრავლე, ახალგაზრდების მენტალიტეტის ახლებურად "მომართვაზე" მიუთითებს. მათი ამ კუთხით დაინტერესება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და დასაქმების ბაზრის რაციონალურად ასათვისებლად."

მერთან ერთად ყოფილ მე-15 საჯაროში რეორგანიზაციამდე ამ სკოლის დირექტორი და ამჟამად მერის მოადგილე გიორგი მეიშვილი იმყოფებოდა, რომლისთვისაც აქაურობა განსაკუთრებით მშობლიური ამ კედლებში გატარებული 30 წლიანი გამოცდილებით გახლავთ. მან ხაზი გაუსვა, რომ ის დატვირთვა, რაც სკოლას აქამდე ჰქონდა, მნიშვნელოვანი იყო, აქ განსაკუთრებული ქცევის აღსაზრდელები იღებდნენ განათლებას, სკოლა პანსიონის ტიპის გახლდათ. თუმცა, მისი ახალი ფუნქცია არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისა და დასაქმების ბაზარზე ახლებური მიდგომების გამო.

პატვცმა დაცვის დღეს გილოცავთ, პატვცეპო!

ლევან გაბეჩავა

ღრუბლიანი გათენდა 1 ივნისის დილა სამტრედიაში. ქალაქის მთავარ ტაძარში ხალხმრავლობაა, ნინოობას აღნიშნავენ.

1-ელი ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეცაა და ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის მიმდებარედ ანიმატორებმა სცენა დაიკავეს, რომლებმაც პატარების გართობაზე იზრუნეს. აქვე გამოიფინა სამხატვრო სკოლის მოსწავლეების ნამუშევრებიც. ბავშვებს ნინოობას და ბავშვთა დღეს ულოცავდა, ნამუშევრების შეფასებას საზოგადოებას ანდობდა სამხატვრო სკოლის დირექტორი ნინო ნინუა. ყურადღებას იპყრობდა 9 წლის ანასტასია კონსტატინიდის ნამუშევრები. იგი სენაკში გამართული ფესტივალის პირველი ადგილისა და შესაბამის დიპლომის მფლობელია. აქვე ვიხილეთ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრებიც. დარბაზში კი სცენაზე ნაირფერკაბიანი გოგონები და ასევე, ნაირფერად მორთული პატარა ვაჟკაცები ცეცხლს ანთებდნენ ეროვნული თუ ევროპული ცეკვა-სიმღერით.

რამდენიმე სამტრედიელი ახალგაზრდის მიერ დაფუძნებულმა ორგანიზაციამ "ქველმოქმედი სამტრედიელები" შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ეს დღე გაულამაზეს და 1-ელი ივნისი მათთვის რამდენადმე არაჩვეულებრივად აქციეს. ღონისძიება ბარ-რესტორან "სამტერასას" ჩართულობით გაიმართა, რომელიც იმ დღეს გახსნის წლისთავს ზეიმობდა.

"საზეიმო განწყობით ვხვდებით ზაფხულის პირველ დღესა და ნინოობას, მერიამ იზრუნა ჩვენი პატარებისათვის და პირველი და ორი ივნისი მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღნიშნა, მადლობა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს, კერძო კომპანიებს ქველმოქმედებისათვის". – განაცხადა მუნიციპალიტეტის მერმა დავით ბახტაძემ. ნინოობა და 1-ელი ივნისი გულწრფელი სურვილებით მიულოცა საზოგადოებას, ბავშვებს "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში არაერთი თაობის აღმზრდელმა, ამჟამად მერის მოადგილემ გიორგი მეიშვილმა. კეთილი სურვილებითვე შეუერთდა მილოცვას საკრებულოს წევრი, ფრაქცია "ქართული ოცნებას" თავმჯდომარე ტარიელ დვალიშვილი. საპირველივნისო ღონისძიებები 2 ივნისსაც გაგრძელდა და მან თითქმის ქალაქის ყველა ლოკაცია მოიცვა. ეს რაც შეეხება სანახაობით მხარეს.

თარიღთან დაკავშირებით სამტრედიაში მცხოვრებ 98 შშმ მოზარდსა და მრავალშვილიან ოჯახებს "სახლი თანადგომას" ჩართულობით ამანათები გადაეცათ, რითაც მათი ოჯახის წევრები კმაყოფილები დარჩნენ.

ვისთვის ძველი, ჩემთვის კი ყავლგაუვალი ლოზუნგი "ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს!" 1-2 ივნისს სამტრედიაში რეალობად იქცა.

მართლაცდა ყოჩაღ, მერიას, საკრებულოს, ბიზნეს სექტორს, ყველა ქველმოქმედს.

როგორც არასდროს, ისე გვჭირდება დღეს ერთობა, ურთიერთთანადგომა.

პედაგოგთა საინტერესო ტრენინგ-კურსი საწირის პროფესიული განვითარების ცენტრში

ნათია ნაცვლიშვილი

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ეგიდით მოეწყო ტრენინგ-კურსი პროფკავშირების წევრი საჯარო სკოლების დირექტორებისა და პედაგოგებისათვის. შეხვედრებს შემოუერთდნენ სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი თინათინ ხარძიანი და რესურსცენტრის წარმომადგენლები, ელენე ბოხუა და ელიზა ცხვირავაშვილი. ორგანიზაციამ, რომელიც 38 393 წევრს აერთიანებს, პედაგოგიური საზოგადოება საწირის სასწავლო ტრენინგ-ცენტრში შეკრიბა. ტრენინგებს გაუძღვნენ როლანდ ხოჯანაშვილი და გიორგი ბაკურაძე. ბატონი როლანდი ასევე არის ორგანიზაციის საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე. ორდღიან საინტერესო შეხვედრებს შეუერთდნენ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების პრეზიდენტი, მაია კობახიძე, პროფკავშირების ვიცე-პრეზიდენტი მარი ალუდიშვილი და საფინანსო სამსახურის უფროსი ნათია კორძაძე.

განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: კურიკულუმი, მესამე თაობის ესგის ძირითადი ტერმინები, ავტორიზაციის სტანდარტები, პედაგოგთა პორტფოლიო, კვლევა, კონფერენცია, პროექტი, განმავითარებელი შეფასება და სოლო ტაქსონომია. ექსპერტებმა დეტალურად განიხილეს საკითხები, რაც აუცილებელია პედაგოგის პორტფოლიოს შესაქმნელად: საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის და სკოლის საჭიროებების კვლევა, სასწავლო გეგმის, ანუ, კურიკულუმის შედგენა \მოდიფიცირება, გაკვეთილის ჩატარება და შეფასება, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი, სხვა მასწავლებლის გაკვეთილებზე დასწრება, დაკვირვება და ეფექტური უკუკავშირის მიცემა, საკუთარი გაკვეთილის ვიდეოჩანაწერის ანალიზი და შეფასება, გაკვეთილების ერთობლივი დაგეგმვა, სამოდელო გაკვეთილების ჩატარება, ტრენინგში \სემინარში სამუშაო შეხვედრებში (ე. წ. ვორქშოფებში) მონაწილეობა, თვითრეფლექსიის ჟურნალის წარმოება, წიგნის განხილვაში მონაწილეობა, პროფესიულ კონფერენციაზე დასწრება და/ან კონფერენციაზე მოხსენების გაკეთება, სტატიების დაწერა, სასწავლო რესურსების შექმნა, რაც მენტორი მასწავლებლისათვის აუცილებელია, პარალელური კლასების მასწავლებლებთან შეხვედრებში მონაწილეობა, სხვა პედაგოგის მენტორობის ქვეშ ყოფნა, სასკოლო კლუბის ხელმძღვანელობა (კლუბის შექმნის ინიციატივა სკოლის თვითმმართველობიდან უნდა მოდიოდეს), სასკოლო, სკოლათშორისი (სათემო) პროექტების დაგეგმვა და განხორციელება. ტრენინგ-მოდულის ყველა მონაწილეს შეხვედრის ბოლოს სერტიფიკატი გადაეცა.

შეხვედრას შემოუერთდა მაია კობახიძე და სპმთპ-ის ინიციატივითა და ძალისხმევით განხორციელებულ საქმიანობაზე ისაუბრა. დასაქმებულთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი უფლებების დასაცავად ორგანიზაცია მუშაობს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისათვის და რეაგირებს ყოველი დასაქმებულის ინდივიდუალური შრომითი უფლებების შელახვაზე.

მაია კობახიძე: "მადლობა, რომ თანამშრომლობთ ჩვენთან პროფესიული ზრდისათვის, შეხვედრის ორგანიზებისათვის მადლობა სპმთპ-ის სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს, ზოია ჯანაშიას, 2013 წლიდან წარმმართავთ კონსტრუქციულ თანამშრომლობას, სოციალურ დიალოგს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, მჯიდრო თანამშრომლობაში უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობ კონსტრუქციულ ოპონირებას, რაც სრულდება ხოლმე საკანონმდებლო ცვლილებით.

ქალბატონმა მაიამ დარბაზში მსხდომ პირველი საჯარო სკოლის დირექტორსა და მათემატიკის პედაგოგს, ხათუნა ფაილაძესა და ამავე სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგ კახა გალდავას მენტორი მასწავლებლის სტატუსის მოპოვება მიულოცა. მან ასევე მიაწოდა საზოგადოებას შემდეგი ინფორმაცია: "მიუხედავად იმისა, რომ "შრომის კოდექსი" აღარ ითვალისწინებდა მასწავლებელთა შრომითი ხელშეკრულების ვადებს და ის გახდა უვადო, მაინც ჰქონდა ადგილი შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვის გამო უკანონო გათავისუფლებებს. სპმთპ-ის მუშაობის შედეგად, 2015 წლიდან შეწყდა პედაგოგთა უკანონო გათავისუფლება მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვის საფუძველზე."

– ერთი გზავნილი მინდა გაგატანოთ ყველა პედაგოგთან – განაცხადა მაია კობახიძემ: ჩვენი ორგანიზაციის მუშაობის შედეგები თანაბრად ეხება როგორც მის წევრებს, ისე, არაწევრებს, ამიტომ მადლობა უნდა გადაუხადონ არაწევრებმა მის წევრებს, რადგან მათ შრომით, სოციალურ-ეკონომიკურ და სამართლებრივ უფლებებზეც აისახა და კვლავაც აისახება ჩვენი საქმიანობის შედეგები.

თინათინ ხარძიანმა მადლობა გადაუხადა სპმთპს პრეზიდენტს, მაია კობახიძეს თანამშრომლობისათვის და იმისთვის, რომ უდიდეს მოტივაციას აძლევს საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლებს და ყველა პედაგოგს წარმატება და პროფესიული ზრდა უსურვა.

კახა გალდავამ ჩაატარა სახალისო აქტივობა, რომელიც პედაგოგებს მოსწავლის ემოციური და სოციალური უნარების დადგენასა და განვითარებაში შეუწყობს ხელს.

სამტრედიაში მოძრაობა "ჰუმანური თაობა" დაფუძნდა

ნინო ნანიტაშვილი

აუდიტორიასთან მისალმებით და ვიდეო მიმართვით დაიწყო შეხვედრა 9 ივნისს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ხელოვანთა დარბაზში, სადაც ოფიციალურად დაფუძნდა სამტრედიელი ახალგაზრდების საგანმანათლებლო შემეცნებითი მოძრაობა "ჰუმანური თაობა".

საქართველოში ჰუმანური პედაგოგიკის ფუძემდებლის, შალვა ამონაშვილის მიერ ქვეყნის ათ რეგიონში უკვე დაარსებულია ჰუმანური მოძრაობები. იმერეთი ამ პროექტს შარშან, ოქტომბერში შეუერთდა. პროექტი "ვეფხისტყაოსნობა"' მათ "ჰუმანურ თაობას" დაუკავშირეს და დასაწყისში სამტრედიის მუნიციპალიტეტის 11 სკოლაც გააერთიანეს.

ხელოვანთა დარბაზში 9 ივნისს შეხვედრაზე მოსწავლეებმა "ვეფხისტყაოსნის" რამდენიმე თავის ხატოვნად წერის და კალიგრაფიის ნიმუშები ილუსტრაციებთან ერთად წარმოადგინეს. ქალაქის № № 1, 2, 3, 6, 7, 8, 10, 11, ნაბაკევის საჯარო სკოლების, წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედიის მართლმადიდებლური და კერძო სკოლა "ცოდნის" მოსწავლეები პირველები არიან, ვინც "ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერ ალბომზე მუშაობა დაიწყეს.

"ქართველების გადამრჩენელი ყოველთვის იყო მამული, ენა და სარწმუნოება. ჩვენ რამდენად გავძლიერდებით თითოეული ამ სიტყვის მიღმა, ეს ჩვენზეა დამოკიდებული. ბატონ ამონაშვილს აქვს ასეთი ფრაზა, რომ მასწავლებელი ცხოვრების მხატვარია. ვთვლი, რომ ჩვენ, უფროსი თაობა ვართ ამ ახალი თაობის ცხოვრების მხატვარნი. ჩვენ უნდა ჩავდოთ მათში ყველაფერი საუკეთესო, რათა აღვზარდოთ ჰუმანური თაობები". – "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში განაცხადა საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, თინათინ ხარძიანმა.

შეხვედრაზე ხაზგასმით ითქვა, რომ პროექტის მხარდაჭერები არიან სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო, საგანმანათლებლო რესურსცენტრი, მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა, სამტრედიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, გაზეთი "სამტრედიის მაცნე", ტელერადიოპრესკომპანია "ზარი", საქართველოს საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების სამტრედიის ჩოხოსანთა სადროშო.

ღონისძიების დასაწყისში საზოგადოებას საშუალება ჰქონდა გაეხსენებინა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, ეკატერინე შვანგირაძის ხელმძღვანელობით 2007 წელს შექმნილი პროექტი "ანოსა და ვანოს ვეფხისტყაოსანი", უნიკალური ნამუშევრები, ხელნაკეთი პოემა კომიქსებით, რომელმაც აღიარება იმთავითვე ჰპოვა.

9 ივნისს "ჰუმანური თაობის" დაფუძნების მონაწილენი გახდნენ: სამტრედიის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლე-ახალგაზრდობა, პედაგოგები, სკოლების დირექცია, საგანმანათლებლო რესურსცენტრის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი პირები და წარმომადგენლები.

ხელოვანთა დარბაზში შეკრებილებს სიტყვით მიმართა "ჰუმანური საქართველოს" წარმომადგენელმა სამტრედიაში, ნატალია კოპალეიშვილმა. მან ერთი წლის განმავლობაში მოქმედი მოძრაობა "ჰუმანური საქართველოს" შესახებ მოკლედ ისაუბრა.

სამტრედიაში "ჰუმანური საქართველოს" შექმნის ინიციატორები არიან მე-11 საჯარო სკოლის თვითმმართველობის წევრები და მათი ლიდერები: თეკლა წითელიშვილი, მარიამ აბრამიშვილი და მარიამ ხუჭუა. მათ უდიდესი მხარდაჭერა გაუწია მეთერთმეტე საჯარო სკოლის დირექტორმა. ნანა მანჯგალაძე სკოლის შენობაში სივრცის დათმობას სხვადასხვა აქტივობებისთვის მომავალშიც აპირებს. პირველ აქტივობად "ჰუმანურმა თაობამ" სამტრედიაში აირჩია პროექტი "ვეფხისტყაოსნობა", რომელიც პირველ ეტაპზე გულისხმობს სამტრედიელი მოსწავლეების მიერ უნიკალური პოემის ხელნაწერი და ილუსტრირებული ალბომის შექმნას, რომელიც მუზეუმის ხელმძღვანელის, ჯონი ნადირაძის თქმით, საბოლოოდ ბინას სამტრედიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაიდებს.

დარბაზში შეკრებილებს მიესალმნენ: წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის დეკანოზი ანტონი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ნუგზარ ჯამბურია, წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელი, ჩოხოსანი, ჯონი ნადირაძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, თინათინ ხარძიანი, მოძრაობა "ჰუმანური საქართველოს" იმერეთის ლიდერი, მამუკა ქავზინაძე.

9 ივნისის შეხვედრაზე გადაწყდა მოძრაობას "ჰუმანური თაობა" საერთო ხელმძღვანელობას სამტრედიაში ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის დირექტორი, გიორგი ფანცულაია გაუწევს.

“კოლხეთის თასის” გამარჯვებული მეთერთმეტე საჯარო სკოლაა

ნათია ნაცვლიშვილი

11 ივნისს დასრულდა სასკოლო ჩემპიონთა ლიგა მათემატიკაში “კოლხეთის თასი”. ტურნირში სამტრედიის გარდა დასავლეთ საქართველოს რამდენიმე საჯარო სკოლის გუნდი მონაწილეობდა. შეჯიბრის იდეის ავტორი და ორგანიზატორი პირველი საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი, გოჩა გაბუნიაა, ხოლო მხარდამჭერები არიან: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია, განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური და საგანმანათლებლო რესურსცენტრი.

ტურნირი 21 მაისს გაიხსნა სამტრედიის მეთერთმეტე საჯარო სკოლაში და მას მუნიციპალიტეტის მერი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები დაესწრნენ. მათემატიკურ შერკინებაში თორმეტი სკოლის გუნდი მონაწილეობდა, ეს სკოლებია: სამტრედიის პირველი საჯარო, სამტრედიის მეორე საჯარო, სამტრედიის მესამე საჯარო, სამტრედიის მეათე საჯარო, სამტრედიის მეთერთმეტე საჯარო, მელაურის საჯარო, ხელვაჩაურის პირველი საჯარო, ბათუმის ქართულ-ამერიკული, ქუთაისის ოცდამეთორმეტე, ქუთაისის ოცდამეცამეტე, აბაშის მეორე საჯარო და ზუგდიდის ორსანტიის საჯარო.

ლიგის ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ მეორე საჯარო სკოლის მენტორი მასწავლებელი, ვერა ჯიჯელავა, მესამე საჯარო სკოლის მასწავლებელი გულივერ მესხი და პირველი სკოლის მასწავლებელი გოჩა გაბუნია. ფინალურ შეხვედრაში ჟიურის შეემატა თსუ-ს პროფესორი, მიხეილ ამაღლობელი.

ნახევარფინალში გადავიდნენ სამტრედიის პირველი საჯარო, მესამე საჯარო, მეთერთმეტე საჯარო, მეათე საჯარო, ქუთაისის 33-ე და ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის გუნდები. გამოვლინდა სამი ფინალისტი: გაიმარჯვა სამტრედიის მეთერთმეტე საჯარო სკოლამ, მეორე ადგილს დაეუფლა სამტრედიის პირველი საჯარო, ხოლო მესამე ადგილის მფლობელი სამტრედიის მესამე საჯარო სკოლა გახდა.

ჩვენს კითხვაზე, რამდენად კმაყოფილია ტურნირის ორგანიზატორი მოსწავლეთა აქტიურობითა თუ გამოვლენილი მათემატიკური შესაძლებლობებით, გოჩა გაბუნიამ განაცხადა: “ჩემთვის მთავარია, გაიმარჯვოს ღირსეულმა, რაოდენობრივი თვალსაზრისით არ იყო მაინცდამაინც სიმრავლე გუნდების, მაგრამ გამახარა იმან, რომ მეორე ტურში მოსწავლეთა მომზადების დონე ბევრად მაღალი იყო, იშრომეს და მეტად გაისარჯნენ. ეტყობოდა, ქალბატონმა ნანა ქოჩიაშვილმა მთელი გული და სული ჩადო, ჩვენ დავაჯილდოვეთ ოთხი საუკეთესო მოსწავლე კლასების მიხედვით, გამოვავლინეთ თითო საუკეთესო მოსწავლე ყველა კლასში, რომ რომელიმეს ინდივიდუალური ღვაწლი არ დაკარგულიყო. უდიდესი მადლობა მინდა ვუთხრა სამტრედიის მერს, ბატონ დავით ბახტაძეს, მერის მოადგილეს, გია მეიშვილს, ნატალია მანჯგალაძეს, ლაშა ლორიას, ასევე თსუ-ს პროფესორს, მიხეილ ამაღლობელს.

საუკეთესო მერვეკლასელია მესამე სკოლელი სოფო ციცვიძე, საუკეთესო მეცხრეკლასელია ქუთაისის 33-ე სკოლის მოსწავლე გიორგი ნადარეიშვილი, საუკეთესო მეათეკლასელის ტიტულს დაეუფლა პირველი საჯარო სკოლიდან გიორგი ნიკურაძე, საუკეთესო მეთერთმეტე კლასელის ტიტული კი მეთერთმეტე საჯარო სკოლის მოსწავლემ, ტურნირის საუკეთესო მონაწილემ, შოთა შალამბერიძემ მოიპოვა. გამარჯვებული გუნდები დასაჩუქრდნენ “ბიბლუსის” ვაუჩერებით, პირველადგილოსანი გუნდი 500 ლარიანი წიგნის ვაუჩერით, მეორე ადგილზე გასული – 250, ხოლო მესამე ადგილზე გასული – 200 ლარიანი ვაუჩერით დასაჩუქრდა ფულადი ჯილდო გადაეცათ გამარჯვებულთა პედაგოგებსაც.

“სამტრედიის მაცნესთან” საუბარში მეთერთმეტე საჯარო სკოლის დირექტორმა, ნანა მანჯგალაძემ განაცხადა:

“ ბავშვისთვის მნიშვნელოვანია ნებისმიერი კონკურსი, ნიჭიერი ბავშვები ხვდებიან, როგორ გამოიყენონ ნიჭი, შესაძლებლობები, ეს კონკურსი ასწავლის ბრძოლას და რწმენას გაუძლიერებს! როცა გვთხოვა მერიის სამსახურმა და ბატონმა ლაშამ, აქ გამართულიყო ტურნირი, სიამოვნებით დავთანხმდით. ამდენი ნიჭიერი ბავშვი თუ ჩვენი სკოლიდან აიღებს რაღაც ესტაფეტას და მიიღებს რწმენას, ეს ჩვენთვისაც წინგადადგმული ნაბიჯია, გამიხარდება, თუ ვინმე იტყვის: მე მათემატიკა მეთერთმეტე საჯარო სკოლაში მიღებული წარმატების შემდეგ ავირჩიე მომავალ პროფესიად! ასეთ კონკურსებს მივესალმები, ვიქნები მათ სამსახურში.

გოჩა გაბუნია აგრძელებს ბატონი მურმან კაშიას გზას, ის ჩემთვის იყო კაცი ლეგენდა, ჩემი უმცროსი დისშვილი დადიოდა მურმანთან საკვირაო სკოლაში, ვიხდიდით თვეში 5 ლარს, ეს თანხა მარტო ფურცელს არ ეყოფოდა, იგი ასწავლიდა მათემატიკას სხვა რაკურსით, ბავშვის სახლში მოტანილ ყველა ფურცელს დიდი ადამიანების გამონათქვამები ეწერა ქართულ და ლათინურ ენებზე. როცა როინ ნადირაძე გარდაიცვალა, მურმან კაშამ სამტრედიაში დააფუძნა როინ ნადირაძის ტურნირი, საკვირაო სკოლა დიდხანს არ გაგრძელდა, მაგრამ ჩემმა დისშვილმა უმაღლესი ქულა მოუმზადებლად აიღო ზოგად უნარებში. წარმატებებს ვუსურვებ ამ მათემატიკური ტურნირის ყველა მონაწილეს და გამარჯვებას ვუღოცავ ჩემს სკოლას, მოსწავლეებს და პედაგოგებს.“

მე-11 საჯარო სკოლაში მეგობრობა იმარჯვებს

ნინო ნანიტაშვილი

დაბურულ ტყეში დგას პატარა ქოხი. ტყის ბინადრები: ბუზი, ბაყაყი, თაგვი, კურდღელი, ბეღურა, მამალი, მელია, მგელი, დათვი თანმიმდევრულად ეცნობიან ერთმანეთს, შემდეგ გადაწყვეტენ დამეგობრებას... ტყის სიღრმეში დაინახავენ ქოხს და სურვილი გაუჩნდებათ ამ ქოხში ერთად ცხოვრების, თუმცა მგელი და დათვი წინააღმდეგები არიან ერთად ცხოვრების. გაუმაძღარი დათვი კი, რომელსაც მარტო უნდა ცხოვრება, შეეცდება ქოხის დანგრევას. გაღიზიანებული ცხოველი მიწაზე დაგორავს და ღმუის. ტყის ბინადართ შეებრალებათ გაბოროტებული დათვი და მის შემორიგებას განიზრახავენ... ასეც მოხდება. ტყის ბინადართათვის უკვე რთული არ არის ერთად ცხოვრება, რადგან საბოლოოდ მეგობრობა იმარჯვებს.

ზუსტად ეს იდეა ჰქონდა უცხო ენების კათედრის გერმანული ენის განყოფილებას, კერძოდ პედაგოგს, ხათუნა ჩხიკვაძეს, როცა მეექვსე კლასელებთან ერთად მე-11 საჯარო სკოლის სცენაზე სპექტაკლის განხორციელება ჩაიფიქრა. აირჩიეს ძმები გრიმების ზღაპარი “კარგი მეგობრები” და ძალიან ნიჭიერი და ენერგიული მოსწავლეების ჩართულობით მშვენიერი წარმოდგენა გამოუვიდათ თეატრალურად, მხატვრულად, ესთეტიურად დახვეწილი. იმდენად კარგი შესრულება იყო რეპეტიციებზე, გათამამდნენ და სკოლელებთან, სკოლის პედაგოგებთან, მშობლებთან ერთად, საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მიიწვიეს.

გამოუვიდათ კიდეც. დარბაზი აღფრთოვანებული დარჩა მე-11 საჯარო სკოლის მე-6 პირველი კლასის მოსწავლეების თეატრალური შესაძლებლობებით, არტისტიზმით, სცენაზე თავისუფალი მოძრაობებით და რაც მთავარია, ენის ცოდნით.

მართალია, დარბაზში მყოფთაგან ბევრს არ ესმოდა გერმანული ენა, თუმცა იმდენად კარგი იყო შესრულება, რომ თარჯიმნის გარეშე ვხვდებოდით, თუ რაზე იყო საუბარი.

“7 ივნისს ქალაქ სამტრედიის №11 საჯარო სკოლაში, უცხოური ენების კლუბის “დესპანები” ფარგლებში, გერმანული ენის პედაგოგმა, ხათუნა ჩხიკვაძემ, რომელიც წლების განმავლობაში მაღალი პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობით ახორციელებს გერმანული ენის სწავლებას სკოლაში, მე-6 პირველი კლასის მოსწავლეებთან ერთად ჩაატარა თეატრალური წარმოდგენა, ძმები გრიმების ზღაპრის” “კარგი მეგობრები” მიხედვით. სასწავლო თემის “ცხოველები” გავლის შემდეგ, მასწავლებელმა მიზნობრივად გადაწყვიტა არაფორმალური განათლების ფარგლებში, თეატრალური წარმოდგენის განხორციელება, სადაც მოსწავლეები მოირგებდნენ ზღაპრის პერსონაჟების როლს და განასახიერებდნენ სხვადასხვა ცხოველებს.” – “სამტრედიის მაცნესთან” კომენტარში აღნიშნა მე-11 საჯარო სკოლის პედაგოგმა, მაია სახვაძემ.

მოსწავლეებმა შესანიშნავად მოირგეს პერსონაჟების როლები: ბუზი- თეკლა სახიაშვილი, ბაყაყი – თეკლა იობაძე, თაგვი – თეკლა გულუა, ბეღურა – მაკა თოფურია, მამალი – თამარ მიქაძე, მელია – თამაზ ლორთქიფანიძე, კურდღელი – ნინო ჯულაყიძე, მგელი – ცოტნე ცერცვაძე, დათვი – რეზი შარაშენიძე.

ნორჩმა მსახიობებმა საკუთარი ინტერპრეტაციით უკეთ მოახდინეს პერსონაჟების აზრების, ხასიათისა და ქმედებების აღქმა. მოსწავლეებმა გერმანულ ენაზე განამტკიცეს ზეპირმეტყველების, კომუნიკაციისა და შემოქმედებითი უნარები, ასევე განავითარეს ლექსიკურ-ენობრივი უნარ-ჩვევები. თეატრალური წარმოდგენა სახალისო გახადა მუსიკის პედაგოგის, ნანა მიქელაძის მიერ მომზადებულმა არაჩვეულებრივმა მუსიკალურმა ნომრებმა.

მოსწავლეებმა საოცარი ენერგიულობით შეასრულეს გერმანულ ენაზე სიმღერები, რომელიც ხელს უწყობდა ლექსიკური მარაგის ათვისებასა და ნასწავლი გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენება-გააქტიურებას. მოსწავლეები სიღრმისეულად ჩაწვდნენ ზღაპრის მთავარ სათქმელს, რომ ცხოვრებაში საბოლოოდ იმარჯვებს მეგობრობა.

თეატრალურმა წარმოდგენამ სკოლის დირექტორის, ნანა მანჯგალაძის, პედაგოგების, დამსწრე საპატიო სტუმრების, სამტრედიის მერიისა და სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლების დიდი მოწონება დაიმსახურა. მათ საპატიო მისიაც დაეკისრათ, თითოეულმა სტუმარმა, წარმოდგენის დასრულების შემდეგ, სერტიფიკატები გადასცა წარმოდგენაში მონაწილე ზღაპრის მთავარ პერსონაჟებს, ასევე, სამტრედიის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაში “მე ჩემი ქალაქის მეგზური ვარ” (ხელმძღვანელი მარინა ქართველიშვილი) გერმანულ ენაზე მონაწილე მოსწავლეებს: ანა კოპალეიშვილს და დავით შარაშენიძეს; ალექსი კოპალეიშვილს კი გერმანულიდან ქართულ ენაზე თარგმანისთვის, ალმანახ “მორჩი კეთილისთვის”. ეს იყო კიდევ ერთი ემოციებითა და შთაბეჭდილებებით სავსე დღე მეთერთმეტე საჯარო სკოლაში.

მხედველობიდან არავის გამორჩენია და სპექტაკლის ბოლოს თითქმის ყველა გამომსვლელი ხაზს უსვამდა წარმოდგენის მუსიკალურ გაფორმებას, რომელიც ძალიან მაღალ დონეზე წარმოჩინდა პედაგოგის, ნანა მიქელაძის ხელმძღვანელობით.

მე-11 საჯარო სკოლის ნორჩ მსახიობებს სტუმრებმა ღონისძიება შეუქქეს და მათ მომავალში კიდევ ბევრი წარმატება უსურვეს.

მესამე სკოლა ინტელექტუალური სასკოლო ფესტივალის გამარჯვებულია

ნათია ნაცვლიშვილი

გაიმართა სამტრედიის სასკოლო ფესტივალი ინტელექტუალურ თამაშებში: ჯეპარდში, ბრეინ-რინგსა და რსრ-ში. ამ მეტად პრესტიჟულ ინტელექტუალურ ჩემპიონატში სამტრედიის 20 საჯარო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. თითოეული გუნდი ექვსკაციანი იყო. ტურნირი მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ჩატარდა, მხარდამჭერთა შორისაა ორგანიზაცია "ალამდარი". ღონისძიების კრუპიე სატელევიზიო "რა? სად? როდის" ცნობილი სახე გიგა ჩალიგავა გახლდათ.

როგორც სამტრედიის ინტელექტუალთა კლუბის წევრმა, ლევან ცირეკიძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, კითხვები სამტრედიელმა ინტელექტუალებმა მოამზადეს და ისინი მხოლოდ ქართულ თემატიკას მოიცავს. ამ ტურნირის ორგანიზებაში აქტიურად არის ჩართული მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური. ღონისძიება ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა რესტორან "თეთრი გედის" დარბაზში.

ღონისძიების გახსნის და დახურვის ცერემონიალს დაესწრო და გამარჯვებული მოსწავლეები დააჯილდოვა მუნიციპალიტეტის მერმა დავით ბახტაძემ. ამ ნიჭიერ და წარმატებულ ახალგაზრდებს ასევე უგულშემატკივრეს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გია მეიშვილმა, განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, ნატალია მანჯგალაძემ და საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, თინათინ ხარძიანმა.

ასპარეზობის პირველი დღის შედეგებით, თამაშში "რა? სად? როდის? პირველ ადგილზე მესამე სკოლის გუნდი გადიოდა, მეორეზე – პირველი საჯარო სკოლის, ხოლო მესამეზე – მელაურის საჯარო სკოლის გუნდი, მეორე დღეს კი სურათი შეიცვალა და მართლმადიდებლური სკოლის გუნდი დაწინაურდა. ასპარეზობა ასეთი შედეგით დასრულდა: პირველ ადგილზე მესამე საჯარო სკოლის გუნდი "სამი მტრედის გამოცდილება" გავიდა, მეორე ადგილი მართლმადიდებლური სკოლის გუნდს "უძინართა დედამიწა" – ერგო, მესამე ადგილის მფლობელია მესამე საჯარო სკოლის გუნდი "ფენიქსი".

ბრეინ-რინგში პირველ ადგილზე პირველი საჯარო სკოლის გუნდი გავიდა.

ჯეპარდის გამარჯვებული კი ქეთი თომაშვილი გახდა მართლმადიდებლური სკოლის გუნდიდან.

ლევან ცირეკიძე: "ეს ლოკაცია ავირჩიეთ, რადგან წლეულს მასშტაბურია ჩვენი ინტელექტუალური ტურნირი და დიდი სივრცე გვინდოდა" აქ ჩვენთან, გამგეობასთან და საგანმანათლებლო რესურსცენტრთან ერთად ჩაერთო კერძო ბიზნესი საზოგადოება "ალამდარი". ბავშვები კმაყოფილნი არიან, ჩვენ ვართ კითხვების ავტორები: ლაშა ლორია, ლევან ცირეკიძე, საბა კაცაძე, მამუკა კიღურაძე, გიგა ჩალიგავა, მსგავსი არ ჩატარებულა საქართველოში. ყველა კითხვა ქართული თემატიკისაა, საკმაოდ კარგი და დაძაბული იყო თამაში. პირველ ტურში 24 შეკითხვა დაისვა, მეორეშიც 24, პლიუს ჯეპარდი და ბრეინ-რინგი. საზოგადოება "ალამდარმა" დააწესა პირველადგილოსანისთვის 900 ლარიანი "ბიბლუსის" ვაუჩერი, მეორე ადგილოსნისთვის – 600 ლარიანი, ხოლო მესამე ადგილზე გასულისთვის – 300 ლარიანი ვაუჩერი. ასევე ვაუჩერები გადაეცემათ ჯეპარდსა და ბრეინ-რინგში გამარჯვებულებს."

მათი ღიმილიდან იწყება საქართველო!

თეა ბაბუნაშვილი

საქართველოს ჩვენ ვალამაზებთო, – იმ პატარებმა, მესამე საჯარო სკოლაში სწავლების პირველი საფეხური რომ დაასრულეს და მეხუთეკლასელობისკენ წარმატებებით განაგრძეს სვლა. სიბეჯითით დაიწყეს მოსწავლეობის წლები. ოთხწლიანი დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ სანახაობრივად ისეთივე ლამაზი ღონისძიება მოაწყვეს, როგორებიც თავად არიან. მშობლიურ ენას, სამშობლოს, სარწმუნოების სიყვარულსა და მასწავლებლებს მიუძღვნეს იგი.

ნათელი ფერები განსაკუთრებულად გაპრანჭულ სკოლის დიდფანჯრიან დარბაზში ჰარმონიულად ერწყმოდა მეოთხე ბ კლასის გულწრფელობას. ლექსითა და სიმღერით, სიყვარულიანი მოფერებით აავსეს კიდევ ერთი დღე ბავშვების ჟრიამულით გაბადრულ კერაზე. მოჰყვნენ, როგორ იბეჯითეს, იყოჩაღეს, წერეს, იკითხეს, ისწავლეს ამ ოთხი წლის მანძილზე. არც ბურთაობა დაუკლიათ, არც ცეკვა-სიმღერა, არც გართობა და თამაში, რადგან ბავშვობის წლები ყველა ბავშვური სიკეთით უნდა გაილამაზონ, რათა შემდეგ მისი მონატრება ჯერ ყმაწვილკაცობის, შემდეგ ერისკაცობის აღმაფრენას უნდა შეჰმატონ. ჩვენო! – ისინი უპასუხებენ ხვალ დაძახილს: ჰეი, ვინ მოდის მანდ, მომავლიდან!

იმ დღეს არაფერი შეშლიათ, გამორჩენიათ. ბავშვური პათეტიკა და განსაკუთრებული მონდომება სდევდა მიკროფონთან ნათქვამ მათ სიტყვებს, მონდომება ეტყობოდათ ცეკვასა და სიმღერაში. ჯერ ისევ დედიკოებს შესციცინებდნენ, დარბაზში პედაგოგებისა და უფროსკლასელების მსგავსად საგულშემატკივროდ მოსულებს. ქებაც ბევრი დაიმსახურეს, ღიმილიც და სიყვარულიც. პირველი მასწავლებელი, დედასავით რომ შეიყვარეს, ის მარეხი თევზაძე ისევ ისე ეფერებოდათ, როგორც სკოლაში შესვლის პირველ დღეს – "ჩემო ოქროებო, ბრილიანტებო და ბაჯაღლოებო!.."

მერე ნინო ლორთქიფანიძე გახდა მათი კლასის დამრიგებელი. ნინო მასწავლებლისთვის მათი კლასი პირველი სადამრიგებლოა. ამიტომ, როგორც იგი ამბობს: "ჩემთვის ამაღელვებელი დღეა, დიდი ემოციებით ვარ დატვირთული, რადგან ბავშვებმა ჩემი იმედები გაამართლეს. ეს ჩემი მშობლიური სკოლა არ არის, მაგრამ უკვე 9 წელია ამ სკოლის პედკოლექტივის წევრი ვარ და ძალიან საყვარელი და მშობლიური გახდა ეს ჩემთვის. პირველი სადამრიგებლო კლასი სწორედ ეს კლასი გახლავთ ჩემს პედაგოგიურ ისტორიაში. განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მივუდექი მათთან ურთიერთობას. ეს პირველი ღონისძიებაა ჩემი ხელმძღვანელობით მოწყობილი. მომავალში, თუ კიდევ მომეცემა შესაძლებლობა, ვფიქრობ უფრო, დახვეწილი იქნება ამ მხრივ ჩემი ხელწერა."

ლიზა აბზიანიძე, მარი ნიკურაძე, სანდრო ცხვარაძე, დვიკო კუტალაძე, ტასო მამალაძე, ელენე ურდია, სანდრო ჩაჩუა, ანა კალანდაძე, მათე ცერცვაძე, ნია ბოცვაძე, ნუციკო ბუბუტეიშვილი, ლილე კაცაძე, თომა ახობაძე, გიორგი სანიკიძე, სალომე სილაგაძე, ელენე ნიკოლეიშვილი, ანანო თავართქილაძე, ლაზარე ღვანიძე, მარი ნუცუბიძე, ლაზარე გელაშვილი, რუსკა შენგელია, მათე შენგელია, გეგა ცაგურია, თორნიკე შენგელია, ანდრია წოწელია – ოქროს გოგო-ბიჭები გახლავან ამ კლასიდან, ლამაზები, ჭკვიანები, ბეჯითები. სწორედ მათი და მათნაირების ღიმილიდან იწყება საქართველო

მერე, დიდობაში, როცა სიყვარულითა და პატივისცემით სათქმელი სამადლობელი არ დაელევათ მშობლიური სკოლის, პედაგოგების მისამართით, ეს დღეც ლურჯთვალა იებიან, დედაენიან მოგონებად ამოტივტივდება მათ მეხსიერებაში.

მზესთან ერთად ევლოთ მზესავით ლამაზებს და მზე დაეტოვებინოთ ამ კედლებში, ამ კერაზე, მათი და კიდევ ბევრის ბავშვობის ნათითურებს სიყვარულითა და იმედით რომ ინახავს!

მეოთხეკლასელები მეხუთეში გადავიდნენ. ერთი შეხედვით ეს ჩვეულებრივი მოვლენა, მათ ენაზე ნიშნავს, რომ სწავლის პირველი საფეხური დასრულდა და უფრო სერიოზული ეტაპი იწყება 12 წლიან სასკოლო ისტორიაში.

ისეთი ბავშვები ჩანან, წარმატებები დაებედებათ, მერე კი ქვეყნის მომავალი მათია!

ჩვენ მოვდივართ მომავლისთვის მომავლიდან!

თეა ბაბუნაშვილი

უკან მოტოვებული თორმეტი წელი ბავშვობის დასასრულად ეთხოვება სკოლის კედლებს და მეხსიერებაში ცხოვრების საუკეთესო კადრებად ინახავს უდარდელობის, დაფაზე მიწერილი პირველი სიყვარულის, ყმაწვილობას მიბარებული ანცობის, წიგნებში თავჩარგული დღეების, სიზარმაცის და მერე გამოცდებზე ბაგაბუგით ახმაურებული გულის ტკბილ მოგონებებს.

ვარდობისთვემ უკანასკნელი დღეები მიითვალა და ეს ნიშნავს, რომ კიდევ ერთი თაობა დგება ქვეყნის, მშობლიური სკოლის, ხვალინდელი დღის სადარაჯოზე. ფართო შარაგზებით მიდის და მოდის მომავალი, აგურზე დასადები აგური სიმაღლეს მატებს ცხოვრების ზღუდეს. ხვალე კიდევ და კიდევ უკეთესი უნდა გათენდეს, რადგან ამიერიდან მათიც იქნება სამშობლოს ჭირისუფლობის ტკბილ-მწარე ვალდებულება. წინა თაობებს მხარში შეუდგებიან ამ პასუხისმგებლობის საზიდად. ასე ასწავლეს, მათი ცხოვრება თავად უნდა იცხოვრონ!

დღეს მათია ზეცაც და მიწაც. დღეს მარადისობის სიყვარული სიკეთისა და ბედნიერების კვალში დგომით იწყება.

ახლა ისინი მოდიან ხვალის გასათენებლად, მოდიან და უმთავარო ღამეს ანათებენ, დილას ამზიანებენ. მოდიან დაუძლეველის დაძლევის სურვილით, ათასი კითხვის ათასი პასუხით. ჯერ ისევ სუსტი მხრებით იმედი მოაქვთ მზემდე მისატანი. მოდიან კიდევ ერთ თაობად, კიდევ ერთ ხვალედ, ერთ აღმაფრენად და საყრდენად.

მეოთხე საჯარო სკოლამ კიდევ ერთი გამოშვება მიათვალა საკუთარ მრავალწლიან ისტორიას. სკოლის ირგვლივ ატეხილი მითქმა-მოთქმის პასუხად, იმედი უნდა დავიტოვოთ, რომ სკოლის ძველ ფუძეზე ისევ სკოლა დაფუძნდება და ხანგრძლივ "სტუმრობას" დაასრულებს ამჯერად "მდგმურად" მყოფი!

ერთ დროს რუსულ, შემდეგ ევროპულ სკოლად მონათლული მეოთხე საჯარო, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან განსხვავებით, მოსწავლეთა და პედაგოგთა ეთნიკური სიმრავლით გამოირჩევა. ამ სკოლის განსხვავებული იმიჯი განსაკუთრებული ამითაც არის.

მეთორმეტე მეორე ასე ერქვა კლასს, რომლის ოცი მოსწავლიდან ექვსი: ვერიკო ჯანელიძე, ოთარ ხუჭუა, ქრისტინე ადამია, ანასტასია ზარნაძე, ოლესია ეგოროვა, მარიამ მნაცაკანიანი ოქროს მედალოსანი გახლავთ.

მაისმა ბოლო დღეებიც გაატანა ვარდის სურნელად სკოლის კედლებში აწკრიალებული ზარის მუსიკას. "ბოლო ზარი" დაირეკა მეთორმეტე კლასელებისთვის საქართველოს ყველა სკოლაში. როგორც ხდება ხოლმე, მეოთხე საჯარო სკოლის მეთორმეტე მეორემ განსაკუთრებული ღონისძიებით აღნიშნა მშობლიურ სკოლასა და ბავშვობასთან გამოთხოვების დღესასწაული, ბავშვობის, მოსწავლეობის დღესასწაული, რომელიც უკვე მოგონებად იქცა მერხებს შეტოვებული ბავშვობის მიჯნაზე.

ღონისძიება ვერიკო ჯანელიძესა და ანა ზარნაძეს მიჰყავდათ. სიმღერით,ცეკვითა და ლექსით, ლამაზად ნათქვამი სიყვარულიანი ფრაზებით კიდევ ერთხელ მოეფერნენ და გამოემშვიდობნენ მშობლიურ სკოლასა და პედაგოგებს. გაიხსენეს სულ პატარები, ჯერ ისევ დედის კალთას მოუშორებლები, როგორ ჩაიბარა და დედობა გაუწია პირველმა მასწავლებელმა ქეთევან სალდაძემ. მერე მათი დამრიგებელი ისტორიის პედაგოგი მურად გელეიშვილი გახდა. მშობელი მამასავით ედგათ გვერდით და მათ სიძნელეებსა და სიხარულს იზიარებდა. "ნახეთ, როგორ შემოგეზარდეთ, თქვენს თვალწინ შევიცვალეთ. თქვენ ხომ ყველაფერი გაიღეთ, რათა შეგვძლებოდა მომავალი ცხოვრებისთვის თვალის გასწორება." – ასე უხდიდნენ მადლობას პედაგოგებს თორმეტწლიანი სიყვარულისა და მათ აღზრდა-განათლებაში ჩადებული შრომისთვის. თავის მხრივ მილოცვა დალოცვად გაატანეს მასწავლებლებმა, სიყვარულიანი მზერა კიდევ ერთ თაობას გააყოლეს და მომავლის გზა დაულოცეს ქვეყნის მომავალს.

ხვალ ლელო გასატანია მზისგან გატყორცნილი იმედის სხივით!

მეოთხე საჯარო სკოლამ კიდევ ერთ კლასზე დახარჯული სიყვარულის წილ სიყვარული მიამატა საკუთარ ისტორიას.

მეთერთმეტე მეორე, 2023 წლის გამოშვება, ამიერიდან მათ სხვა თანატოლებთან ერთად გიპასუხებთ დაბახილზე – ჩვენ მოვდივართ მომავლისთვის მომავლიდან!

სასწავლო წელი დაასრულა ვარდობისთვემ, ბოლო გამოცდა ჯერ მხოლოდ ბავშვობასთან ჩააბარეს, თორემ ცხოვრება გამოცდას ხვალიდან იწყებს პირქუში რეალობის გასაცისკროვნებლად, მერმისის დასაწყებად, შრომად, ბრძოლად და აღმაფრენად.

მოსწავლეთა პარლამენტის საღამო ეროვნული დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა

"არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი არ გამაჩნია" – ამ სახელწოდებით შემოქმედებითი საღამო გამართეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ახალგაზრდული პარლამენტის წევრებმა 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. ახალგაზრდებმა დია ცის ქვეშ მოაწყვეს ღონისძიება, რომელიც ქართველი კლასიკოსი პოეტების პატრიოტული ლექსებითა და სიმღერებით დაამშვენეს. მონაწილეობდნენ მეთერთმეტე საჯარო სკოლის მოსწავლეები: ლიზი სიხარულიძე, ნინი ბოხუა, სესილი სარჯველაძე, ლიზი მჟავანაძე, იურიკა ძაძამია, ანასტასია ტალაბაძე; მელაურის საჯარო სკოლიდან: ანი ფოცხვერია; მესამე საჯარო სკოლიდან: ცისია ჯანელიძე, ანა ბოცვაძე; პირველი საჯარო სკოლიდან კი მარიამ ახობაძე.

განსაკუთრებული მუხტი შესძინა საღამოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული ანსამბლის, "ალილოს" 11 წლის სოლისტის, დავით მეგრელიშვილის სიმღერამ "არხოტის ცასავით" (პედაგოგი მერი ტკვაცირია). ანსამბლ "ჩანგის" წევრმა, ავთანდილ დარჯანიამ კი შეასრულა "სულ ზევით, ზევით. " ამაღლებულ განწყობას შეუერთდნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის კულტურულ ღონისძიებათა ორგანიზატორი მარიამ ჯულაყიძე და "სამტრედიის მაცნეს" ჟურნალისტი ნათია ნაცვლიშვილი და თავადაც წაიკითხეს ლექსები.

ნიჭიერი და გონიერი მოსწავლეები დაგვპირდნენ, რომ ზაფხული დატვირთული იქნება შინაარსიანი და ლამაზი ღონისძიებებით.

ნათია ნაცვლიშვილი

მოგონებები სკოლაძე

ვამაყობ, რომ ჩემი მშობლიური სკოლის აღზრდილი ვარ

1972 წელს მუშაობა დავიწყე გომის საშუალო სკოლაში უფროს პიონერხელმძღვანელად ქალბატონ ნათელა გელეიშვილის ხელმძღვანელობით, შემდეგ მასწავლებლად იმავე სკოლაში, სადაც ვიმუშავე 8 წელი, საუკეთესო პედკოლექტივში, ტკბილად მაგონდება ის დრო. 1980 წელს დავუბრუნდი ჩემს მშობლიურ სკოლას რკინიგზის სამტრედიის №14 საშუალო სკოლას დაწყებითი კლასების მასწავლებლად. იქ დამხვდნენ ჩემი ყოფილი მასწავლებლები უკვე თანამშრომლებად. დირექტორი იყო ქალბატონი ნათელა შავიძე. ჩავები მათთან მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის ფერხულში და უკვე 43 წელია ვემსახურები ჩემს საყვარელ საქმეს. ამ ხნის განმავლობაში ჩემს ხელში მრავალმა თაობამ გაიარა. უამრავი ღონისძიება, ექსკურსია და ღია გაკვეთილი მაქვს ჩატარებული ჩემს მშობლიურ სკოლაში, რომლებიც შენახული მაქვს ფოტოებისა და ვიდეოების სახით. ბევრჯერ ვიყავი ჩემი ღონისძიებებით, შეხვედრებით, ჩვენი რაიონის გაზეთის გვერდებზე დაბეჭდილი. ვიყავი წლის საუკეთესო მასწავლებელი.

სკოლაში ბევრი სახელგანთქმული მასწავლებელი მოღვაწეობდა და მეც მათთან ერთად ვიზრდებოდი. მასწავლებლები: შურა კახაძე, თალიკო ქართველიშვილი, ლალი ჩორგოლაშვილი, ლამარა (კაკალა) ოდიშარია, ნათელა შავიძე, გოგი კაჭახიძე, ნოდარი ხუჭუა, ლილი კაზაროვა, მზია ბაღდავაძე, მაია გიორგაძე და მრავალი სხვა. ნათელი და სანთელი ჰქონდეთ მათ სულებს!

ჩვენი სკოლა საუკუნეზე მეტი ხნისაა, დიდი ტრადიციების მქონე და ეს ტრადიციები დღესაც გრძელდება ქალბატონ ნინო ონიანის ხელმძღვანელობით. დიდი სიყვარულით, აღფრთოვანებით, მთელი გულით და სულით ველოდებით ჩვენი სკოლის გრანდიოზული რემონტის დამთავრებას და ახალ, ნათელ, თანამედროვე სკოლის კედლებში მუშაობას, თუმცა არც შეშის ღუმელები გვავიწყდება და იქ გატარებული ტკბილად მოსაგონარი დრო. ვამაყობ, რომ ჩემი მშობლიური სკოლის აღზრდილი ვარ და ბევრი სასიამოვნო და კარგი მოგონებები მაკავშირებს მასთან.

ახლა უკვე სკოლაში ყველაზე უფროსი ვარ ასაკითაც და 51 წლიანი პედაგოგიური სტაჟითაც. განახლებულ სკოლაში ჩემს მუშაობას ახალი ენერგიით გავაგრძელებ და ბევრ პატარას შევასწავლი იაკობ გოგებაშვილის "დედაენას".

მედეა გეგეშიძე

სამტრედიის №12 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი

მოგონებები სკოლაზე

“ჩვენი სკოლის მოსწავლეები სამტრედიის რაიონში ყოველთვის გამოირჩეოდნენ”

ჩემი სამტრედია, ჩემი პატარა ლამაზი და კოხტა რკინიგზელთა ქალაქი.

ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკის ქალაქებს შორის სამტრედიის სარკინიგზო მაგისტრალს გამორჩეული სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა და მიჩნეული იყო ერთ-ერთ საკვანძო რკინიგზელთა ქალაქად. ასევე მაღალ დონეზე არის აქ განვითარებული საავტომობილო და საჰაერო მიმოსვლა. კოპიტნარის აეროპორტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქვეყნის აეროპორტებს შორის თავისი საერთაშორისო დანიშნულებით.

მე-18 საუკუნეში სამტრედიაში განვითარებული იყო სანაოსნო მიმოსვლა მდინარე რიონზე, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს არ არსებობს. გარდა სარკინიგზო ინფრასტრუქტურისა, სამტრედიაში მაღალ დონეზე იყო განვითარებული ხის დამუშავების, ჩაის გადამუშავების, ბამბის სართავი, აბრეშუმის წარმოების, საქსოვი, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამმუშავებელი მრეწველობა, სამშენებლო ინდუსტრია და სხვა მნიშვნელოვანი დარგები.

მახსოვს კარგად, გასული საუკუნის 1980-81 წლებში, მრეწველობის ყველა დარგში მიღწეული წარმატებების გამო, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებს შორის ჩვენი რაიონი პირველ ადგილზე გავიდა და ფლობდა გარდამავალ წითელ დროშას.

ჩვენს რაიონში ასევე მაღალ დონეზე იყო განვითარებული კულტურის, ხელოვნების და სპორტის სხვადასხვა მიმართულებები. აღსანიშნავია უხუცესთა ფოლკლორული ანსამბლი “სანავარდო”, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი “ცისარტყელა”, ტრიო “სიმები”, ბავშვთა ვოკალაურ-ინსტრუმენტალური ანსამბლი “იმედი”, ხალხური ცეკვის და სიმღერის ანსამბლები, ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლები, თეატრალური დასები და ინდივიდუალური შემსრულებლები, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებით სახელი გაუთქვეს ჩვენს ქალაქს როგორც რესპუბლიკის მასშტაბით, ასევე ქვეყნის გარეთაც.

საფეხბურთო კლუბი “ლოკომოტივი” ერთ-ერთი საუკეთესო იყო საქართველოში. ასევე მაღალ დონეზე იყო განვითარებული მძლეოსნობა, კალათბურთი, ცხენოსნობა, ჭადრაკი და სპორტის სხვადასხვა სახეობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ისიც, რომ სამტრედია გამორჩეული იყო და არის დღესაც ღირსეული, ინტელექტუალური, განათლებული და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანების სიმრავლით, გამორჩეული ხელმძღვანელებით. ვიხსენებ საქართველოს კომპარტიის რაიკომის პირველ მდივანს, ნოდარ კოხრეიძეს. რენესანსის ხანად არის მიჩნეული გასული საუკუნის 80-იანი წლები. მაშინ რაიონის ხელმძღვანელები იყვნენ თამაზ იმედაძე, თამაზ მიქაძე,ნათელა გელეიშვილი, ლევან ჩხეიძე, სულიკო ნინუა, ანზორ გრიგოლია, ბორის ფოცხვერაშვილი, ჯულიეტა გოგავა, გაზეთ “წინსვლის” მთავარი რედაქტორი ვაჟა ნიკოლეიშვილი. ასევე ვიხსენებ წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებს: ვალერიან კოპალეიშვილს, შალვა გოგავას, ალექსანდრე ჩიქოვანს, თინა ჯვარშეიშვილს, ანზორ გოგოლაძეს, ჯუმბერ ნიკურაძეს, ამირან დახუნდარიძეს, ოთარ წულუკიძეს, აკაკი წილოსანს, ნოდარ გიგინეიშვილს, რემი ვაშაკიძეს და სხვებს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე აღსანიშნავია, რომ არა სამტრედიის მძლავრი საგანმანათლებლო სისტემა, სამტრედიის რაიონი ვერ იქნებოდა გამორჩეული რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებს შორის და ვერ მიაღწევდა ასეთ შთამბეჭდავ შედეგს მეცნიერების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სოციალური სფეროს ყველა მიმართულებით.

როდესაც ჩემი სკოლაში შესვლის დრო დადგა, მაშინ ქალაქში არსებობდა №1, №2 და რუსული ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლები და რკინიგზელთა დასახლებაში რკინიგზის ვაუთა №23 და ქალთა №24-ე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლები, სადაც ძალიან მაღალ დონეზე მიმდინარეობდა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი. თითოეულ სკოლიდან საშუალოდ 10-15 ოქროს და ვერცხლის მედალოსანი ამთავრებდა სკოლას.

1958 წლის 1-ელ სექტემბერს, მშობლების გადაწყვეტილებით სასწავლებლად შემიყვანეს რკინიგზის №24 საშუალო სკოლაში, რომელიც შემდეგ გადაკეთდა №14 საშუალო სკოლად და დღეს №12 საჯარო სკოლის სახელს ატარებს. კარგად მახსოვს სკოლაში მისვლის პირველი დღე, როგორ გავიცანით პირველკლასელებმა ერთმანეთი, როგორ გაგვაცნო თავი ჩვენმა უსაყვარლესმა პირველმა მასწავლებელმა ნინა ცომაიამ, პირველი ზარის დარეკვამდე როგორ გაირინდა ეზოში მთელი სკოლა, როდესაც ეზოში შემობრძანდა სკოლის დირექტორი, ღვაწლმოსილი და დამსახურებული პედაგოგი შუშანიკა ქართველიშვილი, ქალბატონი შუშანიკის უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო ჩვენს რაიონში, არამდ მთელი რესპუბლიკის მასშტაბით. მას ძალიან მაღალ დონეზე ჰქონდა დაყენებული სასწავლო აღმზრდელობითი პროცესი.

სკოლა იყო დაკომპლექტებული ძალიან მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგებით. მაღალი დონის სასწავლო-აღმზრდელობით პროცესთან ერთად ასევე ძალიან მაღალ დონეზე მიმდინარეობდა შრომითი სწავლება, სპორტი და ხელოვნება.

განსაკუთრებით გამოვყოფ დირექტორის მოადგილეებს სასწავლო-აღმზრდელობით დარგში გოგიტა მაჩიტიძეს და დავით ანდრიაძეს, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს შურა კახაძეს, ჩემს უსაყვარლეს მასწავლებლებს: მათემატიკოსს ცაცა ქავზინაძეს, ფიზიკოსს საშა ბიბილეიშვილს რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ლილი კაზაროვას, შრომის მასწავლებლებს ჟორა კახიანს და შოთა ნუცუბიძეს, ფიზკულტურის მასწავლებელს თამარ რუხაძეს, გივი კალაძეს და გენო მუქერიას, პიონერხელმძღვანელს ლალი ჩორგოლაშვილს.

სკოლის დირექტორის, ქალბატონ შუშანიკა ქართველიშვილს დამსახურებულ პენსიაზე გასვლის შემდეგ სკოლის ხელმძღვანელობას წარმატებით აგრძელებდნენ თალიკო მიქაძე და გიორგი კანდელაკი.

ჩვენი სკოლის მოსწავლეები სამტრედიის რაიონში ყოველთვის გამოირჩეოდნენ როგორც მაღალი აკადემიური მოსწრებით, ასევე სპორტულ შეჯიბრებებში მაღალი შედეგებით. განსაკუთრებით გამოვყოფ ჩემს კლასელებს თენგიზ ხურცილავას, ავთო ხაჟალიას, ავთო ყურაშვილს, ნუნუ მინაშვილს, ლიანა ადეიშვილს,ნანა გეგუჩაძეს, შოთა კორძაძეს, ნუნუ ალფაიძეს, გიზო ნადირაძეს, ავთო მამფორიას, ზურიკო აბაშიძეს; პარალელურ კლასელებს: დარეჯან გალდავას, მარინა წულუკიძეს, ჯემალ გეგუჩაძეს, ჟუჟუნა ღაღანიძეს,დიტო ლომსაძეს,უფროს და უმცროს კლასელებს: ვახტანგ ლევიძეს, თენგიზ გალდავას, ნუგზარ დვალიშვილს, თენგიზ კაკაურიძეს, სულიკო მუქერიას, მიხეილ ქანთარიას, ნუგზარ მიგინეიშვილს, ამირან ქართველიშვილს, ავთო ადეიშვილს, სულიკო ალფაიძეს, ამბერკი ტაბიძეს.

პირადად მე გამოვირჩეოდი როგორც მაღალი აკადემიური მოსწრებით, ასევე მაღალი სპორტული შედეგებით. ვიყავი ჭადრაკში და ფეხბურთში სკოლის ნაკრების უცვლელი წევრი.

მე-9, მე-10 კლასებში სწავლის დროს ვთამაშობდი ფეხბურთს სამტრედიის “ლოკომოტივთან” არსებულ ე. წ. “პრიმასტერ” ნაკრებ გუნდში და შემდეგ მიმიწვიეს ახალბედა ფეხბურთელი “ლოკომოტივის” დიდ გუნდში.

სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა გავაგრძელე თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც მაღალი აკადემიური მოსწრებით დავამთავრე 1973 წელს.

საპენსიო ასაკამდე ვმუშაობდი სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, პარტიულ სამუშაოზე, ვიყავი 2002-2006 წლებში ქალაქის საკრებულოს დეპუტატი, შემდეგ რაიონის კულტურის სამსახურის უფროსი, მთავარი სამსახურის უფროსი განათლების, კულტურის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის საკითხებში.

სტუდენტობის წლებში და შემდგომ – სამტრედიაში მუშაობის პერიოდში ვმღეროდი და ვუკრავდი ელგიტარაზე ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლებში “ჩირაღდანსა” და “ცისარტყელაში”. 1979 წელს მეგობრებთან ერთად შევქმენი ტრიო “სიმები”, სადაც ვმოღვაწეობდი 2010 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში გავხდი მრავალი რესპუბლიკური, ყოფილი საკავშირო და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი,გადაგვიღეს ორ სატელევიზიო მუსიკალურ ფილმში, გამოვუშვით ორი გრამფირფიტა და ერთი კომპაქტდისკი. 2001 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით ნაყოფიერი შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის დავჯილდოვდი ღირსების ორდენით.





ღღეანდელი გადასახედიდან რომ ვაფასებ ჩემს განვლილ გზას, საოცრად დიდი სიყვარული და მადლიერების გრძნობა მეუფლება ჩემი აღმზრდელი მასწავლებლებისა და ჩემი ქალაქის მიმართ. აქ სიღრმისეულად შევისისხლხორცე, თუ რას ნიშნავს იყო ქართველი, სამტრედიელი, შენი ქალაქისა და ქვეყნის პატრიოტი, აქ ჩამოვყალიბდი ზნეობრივად და მორალურად მტკიცე პიროვნებად. აქ მივიღე ისეთი განათლება და ფიზიკური წრთობა, რომელიც შემდგომში მინათებდა გზას ჩემს პარტიულ-სამეურნეო, სახელოვნებო, სპორტულ ცხოვრებაში. აქ შევიძინე უამრავი მეგობარი და ვისწავლე, თუ რას ნიშნავს მოყვასის სიყვარული.

ღღეს 72 წლის ასაკში ვარ. პერიოდულად ვხვდებით ერთმანეთს სკოლის მეგობრები. ვიგონებთ წარსულს, ჩვენს გარდაცვლილ მეგობრებს, მასწავლებლებს და გამოვხატავთ მადლიერებას მათ მიმართ.

მადლობას ვუხდი ჩვენი ქალაქის ხელმძღვანელობას და პირადად ქალაქის მერს, ბატონ დავით ბახტაძეს, რომლებმაც გაითვალისწინეს ჩემი დამსახურება ქალაქის წინაშე და გასული 2022 წლის დეკემბერში დამაჯილდოვეს საპატიო სიგელით და გადმომცეს ფულადი ჯილდო.

მადლობას ვუხდი ქალბატონ ნათელა გელეიშვილს, რომელმაც გასულ წელს მაცნობა მოგონებებზე მომავალი წიგნის გამოცემის შესახებ და პატივი დამდო, მეც ჩემი მოგონებები გამეზიარებინა მკითხველისათვის, რისთვისაც კიდევ ერთხელ დიდი სიყვარულით მადლობას ვუხდი მას.

სერგო კრავეიშვილი

გალერეა

შოთა ზამთარაძე – ალიტერაციული მხატვარი

ფიროსმანის, ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის... მშობელ ქვეყანაში ძნელად რომ ვინმე მხატვრობის ნიჭით გააკვირვო, მაგრამ იყვნენ და არიან ადამიანები, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს, დიდი, წონადი წვლილი შეჰქონდათ და შეაქვთ ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში.

სწორედ მათ შორისაა საქვეყნოდ აღიარებული მხატვარი, წარმოშობით სამტრედიელი, ბატონი შოთა ზამთარაძე.

დაიბადა 1926 წელს, სამტრედიაში, მის მშობლებს 8 შვილი, 2 გოგო და 6 ვაჟიშვილი ჰყავდათ. ექვსივე ვაჟი ხატავდა. მამა არა, მაგრამ მან ზეპირად იცოდა უკვდავი შოთა რუსთაველის ხელიხელსაგოგმანებელი "ვეფხისტყაოსანი", იცოდა და პოემისეული იდეალებითაც იზრდებოდნენ შვილები.

სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, ბატონი შოთა აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა, მარტო იმისი აღიარებაც კმარა, მზიური აჭარის დედაქალაქ ბათუმში 1995 წელს გახსნილ და დღესაც ფუნქციონირებად სამხატვრო სკოლას რომ მისი სახელი ჰქვია – "შოთა ზამთარაძის სახელობის ბათუმის სამხატვრო სკოლა". ბათუმელ ახალგაზრდებს მშვენიერების სამყაროსთან აახლოებს, მათ სულიერ სიფაქიზეს ემსახურება.

ამ დღეებში ჩვენმა მეგობარმა პოეტმა, ბატონმა დავით ჩირგაძემ უხვად, ილუსტრირებული წიგნი გვაახლა (რედაქტორი ქალბატონი ეკატერინე ხვედელიძე-გვარიშვილი) სადაც წარმოდგენილია მხატვრის ნამუშევართა ფოტოები, მოგონებები მხატვარზე, სხვადასხვა წლებში ცნობილ ადამიანებთან გადაღებული სურათები და რაღა თქმა უნდა, მხატვრის ვრცელი ბიოგრაფია.

"ტრიალებს ფირფიტა, უკრავს ბეთჰოვენი, მამა მიქნევს ხელს, მემშვიდობება, მიტოვებს ალბომებს, ფუნჯებს, მაფრთხილებს – გაუფრთხილდი, ესეც საქართველოს ნაწილია, ისედაც ბევრი დავკარგეთო..." წერს წიგნში მხატვრის ქალიშვილი ქალბატონი ირინე ზამთარაძე.

მადლობა პოეტ დავით ჩირგაძეს. აქვე ვბეჭდავთ მის ლექსს, რომელიც ბატონი შოთა ზამთარაძის ნათელ ხსოვნას ეძღვნება.

ლევან გაბეჩავა

პეიზაჟების კვალდაკვალ

ეძღვნება, საქართველოს დამსახურებული მხატვრის, შოთა ზამთარაძის ხსოვნას

მხატვარია და ის ხატავს/
ჩვენს გზასა და კარ-მიდამოს./
სიტყვას განა ქარს გაატანს,/ ან
გაურბის თავის ბატონს./ მიდის,
ქუჩას მიუყვება,/ თვალს მოსტაცებს სახე ვარდის./ ვარდს ბულბული ეუბნება,/ – მეშინია თოვლის ბარდნის./ ან როს ქარი, ნანატრ სიოს,/ მზისკენ ლაღად მიაქროლებს./ სურს ტკბილი ხმა დააწიოს,/ ლაჟვარდებით დანამონებს./ ვარდ სურნელით ნაამები,/ გაიტაცეს სურვილებმა,/ ჩვენც დაგვხატე – მანანები/, გადმოსძახეს გვირილებმა./ განა
გვინდა ობლად დავრჩეთ./ უპატრონო წისქვილივით,/ გვწამდეს
უნდა, გავიმარჯვებთ,/ დავიბრუნებთ სულს მწირივით./ ისევ
ფიქრში, მოლოდინში,/ ანთებული
გაეხვევა,/ აჰ! ღრუბელი ხელს თუ
გიშლის,/ არ ღირს გზიდან გადახვევა./ რას გამიმხელს გულის
ფიქრი,/ თვალი თვალს რომ შეეჭრება?/ ზედდამწვარი თავს
დაგიხრის,/ დაუმძიმეს ქედი
მხრებმა./ და რას ითხოვს, ნეტავ,
შორით./ რადაც სხივი გამოკრთება,/ თითქოს გიხმობს – ბედის
გმობით./ ხალისი არ წაერთმევა./ ხედავს წისქვილს, მიტოვებულს/ უმოწყალოდ იძარცვება./
ქარ-ყინვისგან მკაცრად
გვემულს/ განა კიდევ გაუწყრება?/ გულმოკლული აქ გულმოკლულს.../ ცრემლი თვალში
ჩაუდგება,/ ჯვარზე გაკრულს ხედავს გვემულს,/ – მიგატოვეს, –
ეუბნება./ – მიმატოვეს, მიმატოვეს,/ უპასუხებს გულის
ხმასა,/ ნუგეშად რა დამიტოვეს./
წყალში ვდგავარ, გაშრა სასა./
გულის წყრომას არ ვიწვევდი,/
და არც მაწვა გულზე დარდი,/
მოდიოდა ალავერდი./ მეც, ხალისით მარცვალს ვფქვავდი./ –
მერე! – მერე! – მეწისქვილევ! რად
არ მნათობს მზე და მთვარე?/
დარჩენილხარ როგორც მდვიმე,/
სული ვისღა მიაბარე?/ რაღა
გითხრა, ეტყვის, კრთება/ ხმა ვინ
უნდა გამიგონოს,/აღარც მინდა
გაფიქრება,/ დრომ გამთელოს,
დამიმონოს./ როს მიყურებ,
მაკვირდები,/ თან სევდიან
სალამს მაძლევ,/ თითქოს ისევ
ფეხზე ვდგები,/ სულს სურვილად
გადავაქცევ./ რომ დავძლიო
ტკივილები,/ შევეგებო დილის
მადლსა,/ დავიმოწმო, – გვირილები/ ფოთოლცვენით განიძარცვა./
განა არვინ მომაკითხა,/ ჯოხზე
იყო დაყრდნობილი,/ თითქოს ღმერთმა განგვიკითხა,/ ერთ-



ლადო გუდიაშვილის სამახსოვრო წარწერა - Lado Gudiashvili's dedication

მანეთზე განდობილი,/ ვისაუბრეთ,
არ მოგვწყინდა,/ ერთმანეთით
გახარება,/ გადმოგვცვივდა ცრემლი წმინდა,/ ვერ შებორკეს არტახებმა./ დაგვინამდა
გულისკარი,/ შემომხედა, ობოლს
ვგავდი./ ხელფეხი მით შეუკარი,/
მეგობრულად დაუყვავდი/ მომიბრუნდა, არ მითხრა რა,/ რაღაც
მკაცრად შემომხედა,/ საფიქრალი გამიხადა./ თითქოს ვიყავ ახალგაზრდა,/ მერე წასვლა დააპირა,/ ნაბიჯს ვეღარ აუჩქარა,/
გულზე ხელი დაიფინა,/ ზედ
ცრემლები დაიღვარა,/ გაზაფხულის ფერთა კრთომა,/ ზამთრის
სუსხს რომ არ გავიწყებს,/
თითქო მძევლად დამიტოვა,/ მოგონებაც სულს აფიცხებს./ მახსოვს განა, იმ დღის დარდი./ ცამ
ღრუბლები რომ შეჰყარა,/ ნეტავ,
ვითარ გაუმკლავდი,/ გული
მეტად არ გამთბარა./ – მესმის,
მესმის! შენს ძველ სახელს/ დრომ
ღირსება ვერ აჰყარა,/ დრო პირიქით გადმოგვძახებს./ რწმენა ვითარ გაამყარა./ თქვა და ფუნჯი
მოიმარჯვა,/ მზეს რომ სული
შეაგებოს,/ ტკივილია თუ დამარცხდა,/ არ გაუყვა მაღლა
ბექობს.

დავით ჩირგაძე

სიკეთე გადამდები რომ იყოს



ლევან გაბეჩავა

საკათედრო ტაძრის ეზოში გამაცნო ბატონმა ანზორ ხარებავამ სანდო ჭარმაგი, იქნებ მისით დაინტერესდეთო და...

სოფელ ბაშში 1930 წელსაა დაბადებული ბატონი გიორგი ღაჭავა, რომელსაც ერთობ ტრაგიკული ყმაწვილკაცობა არგუნა ბედმა.

მამა – რაჟდენ ღაჭავა პარტიის სამტრედიის რაიკომში პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას ხელმძღვანელობდა დიდი ხნის წინ, როცა რაიონის თავკაცი ბესარიონ ყურაშვილი გახლდათ. "მამის ავტოავარიაში მოხვედრის ამბავი დედამ რომ გაიგო, გული გაუსკდა და გარდაიცვალა, ჩემი ავადმყოფი დაც მალე გამოგვეცალა ხელიდან. ავარიის შემდეგ მამამ კიდევ რამდენიმე წელი იცოცხლა და ისიც მარადისობას შეუერთდა, დავრჩი მარტო. მაშინ რაიკომის პირველმა მდივანმა, ბატონმა ბესარიონ ყურაშვილმა თავისთან მიხმო მეურვეობა გამიწია და წლების განმავლობაში ვმუშაობდი პარტიის რაიკომში ჯერ კომენდანტად, შემდეგ კი სხვადახვა თანამდებობაბზე, შემდეგ ხის დამმუშავებელ კომბინატში ვალიკო კოპალეიშვილმაც არანაკლებ მზრუნველობა გამოიჩინა ჩემს მიმართ." – გვიყვება დღეს უკვე 94-ს მიახლოებული ბატონი გიორგი და მისი დროის აქტივისტებს, რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში მაშინ მომუშავეთ, პანტელეიმონ გაგუას, ჟორა რევიშვილს, თალიკო მიქაძეს, ბორის ფოცხვერაშვილს და სხვებს დიდი პატივით ახსენებს.

მეუღლე, ნაზიბროლა ბოხუა კარგა ხანია გარდაეცვალა, ერთი ქალიშვილი ჰყავს, იგი საზღვარგარეთ ცხოვრობს.

ასაკთან შედარებით ბევრად ახალგაზრდულად, ყოველთვის მხნედ გამოიყურება, ცხადია, მისი დღეგრძელობის საიდუმლოთი დავინტერესდით.

სასმელს ნორმის ფარგლებში იღებს, დილით ვარჯიშობს, დილა-საღამოს, რამდენიმე კილომეტრს ფეხით დადის, შინაურ ფრინველსაც უვლის და არც კარის მეზობელი დათო გიგინეიშვილისა და მისი მეუღლის, თიკოს მიმართ ავიწყდება სამადლობელი, რომელიც წნევას უზომავს და ერთი სიტყვით, მზრუნველობს მასზე.

ბესარიონ ყურაშვილი, რომელიც რაიკომის პირველი მდივნობიდან ცენტრალურ ხელისუფლებაში დააწინაურეს, მთელი მისი ცხოვრების მანძილზე იჩენდა ჩემდამი ყურადღებასო, – გვიამბობს ბატონი გიორგი. დიახ, დრო ვერ აფერმკრთალებს ემოციებს. ლამის 80 წლის წინანდელ ამბავს ვერ ივიწყებს ჩვენი რესპონდენტი და საუკუნო ხსენებას უთვლის იმქვეყნად ბატონ ბესარიონს. ჩვენ კი ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებთ ჩვენს უბერებელ რესპონდენტს და მადლობას ვუხდი ბატონ ანზორ ხარებავას საინტერესო თანაქალაქელის გაცნობისთვის.

ბატონი გია ბოჭორიშვილი

ადამიანის ამოუხსნელი ფენომენის ძიებაში

აღტაცებული ვარ ბატონ გია ბოჭორიშვილის შემოქმედებითი ნიჭით, ინტუიციით, ქვეყნისა და მშობლიური ქალაქის სამომავლო ორიენტაციის უნარით, რაც, ჩვენდა საბედნიეროდ, მის ლიტერატურულ გამოცემებში აისახება.

წიგნის მორიგი გამოცემა "ადამიანი – ამოუხსნელი ფენომენი", ამ დღეებში, ნიჭიერი ჟურნალისტის, ბატონ ლევან გაბეჩავას რედაქტორობით გამოვიდა. მქონდა ბედნიერება, საჩუქრად ნაბოძები წიგნი სულმოუთქმელად წამეკითხა. მომწონს და მახარებს ბატონი გიას შემოქმედებითი ძიების გზები, მიდგომები, ხედვა. ამას ეს ახალი გამოცემაც ადასტურებს. ვიტყვი, რომ ბატონი გია არის პიროვნება, რომელიც თავისი ბუნებით, სწორედ ადამიანის ფენომენის ძიებაშია. აქ არის გამოქვეყნებული წერილები, რომლებიც წინა წლებში გაეგზავნა ხელმძღვანელ ორგანოებს და პირდაპირ კავშირშია ჩვენი მშობლიური ქალაქის ხვალინდელ დღესთან, მის პერსპექტივებთან.

დარწმუნებული ვარ,სამტრედიის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები და ხელმძღვანელი პირები საფუძვლიანად გაანალიზებენ ასეთ საკითხებს და შესაბამისი მხარდამჭერი წერილებით დაასაბუთებენ მათი გადაჭრის აუცილებლობას. ეს ხელს შეუწყობს ცალკეულ პიროვნებათა მიერ ზემდგომ ორგანოებში დასმული საკითხების გადაწყვეტის დაჩქარებას. მათზე დროული რეაგირება განავითარებს ჩვენი ქალაქის მომავალს, გაახარებს სამტრედიელებს, რაც მთავარია, ამ იდეათა ავტორებს და მხარდამჭერ ხელმძღვანელ ორგანოებს.

ბატონო გია!

მეამაყება, რომ ჩემს მშობლიურ, რკინიგზის სამტრედიის მე-14 საშუალო (ამჟამად მე-12 საჯარო) სკოლაში შეისისხლხორცეთ გოგებაშვილის "დედაენა".

80-იან წლებში ერთად ვმუშაობდით. მახსოვს, თქვენი სახით განათლებული, ერუდირებული, პასუხისმგებლობით გამორჩეული და მაღალი შინაგანი კულტურის მქონე ახალგაზრდა შეემატა ჩვენს გუნდს.

განვლილი წლები, ადამიანებთან ყოველდღიური ურთიერთობები, თვალით აღქმული და განცდილი რეალობა სწორედ ადამიანის ამოუხსნელი ფენომენის ერთ-ერთი გასაღებია.

დამილოცნიხართ, ბატონო გია, ღირსეული ოჯახის ღირსეულო მემკვიდრევ და ქართული, ტრადიციული ოჯახის ღირსეულო თავკაცო! არ მოგკლებოდეთ მშობლიური კუთხის სითბო და სიყვარული, მკითხველთა ინტერესი. ადამიანის ამოუცნობი ფენომენის ძიებაში ახალ შემოქმედებით ენერგიას გისურვებთ. როგორც ლათინური გამოთქმა გვმოძღვრავს: "ვინც ეძებს, ის პოულობს".

* პატივისცემით ნათელა გელეიშვილი*

ხსოვნა

მიხეილ (მიშა) ნიკოლეიშვილი

კიდევ ერთი ივნისი და კიდევ ერთი დაბადების დღე მოვიდა უშენოდ. არცთუ შორეული წარსულის გაუხუნარი დღეები ამოტივტივდა გონებაში, რედაქციაში გულგახსნილები, სახედიმილიანები რომ ვულოცავდით უფროს-უმცროსი ერთურთს დაბადების დღეს. როცა ყველა ჩინებულად ხედავდა და აღიარებდა სხვათა ღირსებას და არავის სჭირდებოდა ფუყე თავმოწონება და ფუყე ქადილი – რაც ვარ მე ვარო. ერთი სიტყვით, ნამდვილად იყო უკეთესი დრო მსოფლიოში, ქვეყანაში, რედაქციაში.

არცთუ დიდ ხანს ხელმძღვანელობდით გაზეთს, თუმცა სწორედ ესაა ღირსება, დროის ამ მცირე მანძილზეც შენეული ხელწერა რომ დატოვე, როგორც სიძნელეებთან უშიშარმა ხელმძღვანელმა, ასაკით უფროსების დამფასებელმა, ახალგაზრდების მოყვარულმა და მეგობარმა.

მოთხოვნადი კადრი იყავი და ამიტომ ამშვენებს შენს ბიოგრაფიას პროფესიული სასწავლებლის დირექტორად, "საქპერსის" სამტრედიის რაიონული განყოფილების მმართველის, ეწრის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავჯდომარის, გაზეთის რედაქტორის თანამდებობაზე მუშაობის ნაყოფიერ წელთა ნუსხა. არაფერს ვამეტებ, ცხადი რეალობაა, ყველაფერი გუშინდელი, ანუ ახლო წარსული.

აღარც ოთარ "ივანიჩი", აღარც ანზორ "პეტროვიჩი", ჩვენი რომანი, მერაბი, ცისანა, ახლა სტამბელები... რამდენი წასულხართ! გვახსოვხართ და ხშირად, ხშირად გიხსენებთ. ზეციურ სასუფეველში დაბადების დღის მილოცვად მიიღე, ეს ციცქნა ბარათი, ჩემო უფროსო მეგობარო.

ნათელში იყავი!

ლევან გაბეჩავა

საინტერესო ნაშრომი

დადის ჩვენს ქალაქში სამშობლოზე ფიქრით დახუნძლული, ქვეყანასა და მის სამტრედიაზე სიყვარულით გათანგული ბატონი გია ბოჭორიშვილი, დინჯად და აუღელვებლად. ბევრი წელია ვიცნობთ, იგი ჩვენი ბიბლიოთეკის ერთგული და აქტიური გულშემატკივარია. არავის უნახავს ხმამაღლა მოსაუბრეც კი. მისი ტონი ყოველთვის მოზომილი და დამაჯერებელია. უყვარს ახალგაზრდა მკითხველები და ყოველთვის ყურადღებით ექცევა მათ. თითქმის ყველა ღონისძიებას ესწრება და განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ახალგაზრდა მკითხველების მიმართ. მოუწოდებს ბევრი იკითხონ და ისწავლონ, რომ უფრო წარჩინებულები იყვნენ და გამოადგნენ თავიანთ ქვეყანას. თავისი წიგნებითაც დაასაჩუქრა მოსწავლეები, რომ კიდევ უფრო მოტივირებულები გახდნენ და შეიყვარონ წიგნი.

ბატონმა გიამ უკვე სამი წიგნი გამოსცა. სამივე წიგნი გამოკვეთილია სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანის ფიქრებით. თავმოყრილი აქვს სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული წერილები, ფოტო მასალები, ბრძნული გამონათქვამები, ცნობილი პოეტების ლექსები, რომელიც შინაარსობრივად აქვს მისადაგებული, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის წიგნებს.

ახლა ხელთა მაქვს ბატონი გიას მესამე წიგნი, რომელიც ასე დაასათაურა ავტორმა: "ადამიანი – ამოუხსნელი ფენომენი". არ შეიძლება არ ენდო სხვადასხვა დროს, სხვადასხვა საპასუხისმგებლო ადგილზე მომუშავე, დიდი გამოცდილების მქონე პიროვნების იდეებს, ხედვებს და რჩევებს. დასანანია, ავტორი სინანულს გამოთქვამს მის მეტად საჭირბოროტო წერილებზე, რომელიც ყოველთვის ჩვენი რეგიონის, ქვეყნის სასიცოცხლო საკითხებს ეხება, არასოდეს გამოხმაურებია სახელმწიფო მოხელეები სიტყვითაც კი.

არადა, როგორი საჭიროა ასეთი გამოცდილი პიროვნებების იდეების გაზიარება სხვადასხვა ბატონი გიას იდეას, სამტრედიაში დაიდგას ჩვენი რაიონის მკვიდრის – საქართველოს გმირის, ირაკლი ქუთათელაძის სტელა, რამეთუ ამ ახალგაზრდის თავგანწირვა, ღირსება და ერთგულება, ზნეობრივი გმირობის მაგალითია. საქართველო კი გმირების სამჭედლოა, რომლებიც არ უნდა დავივიწყოთ.

ბატონი გიას წიგნები ავტობიოგრაფიულიც არის, მან ამ წიგნებით, შექმნა თავისი ცხოვრების ისტორიის გარკვეული ეტაპი, რომელიც შთამომავლობის, ნაცნობ-მეგობრებისა და მკითხველთა ფართო წრისთვის მნიშვნელოვანი საჩუქარია.

რუსუდან კახიანი

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარი

მადლობა

ამ წერილის დაწერა ერთმა აზრმა გამაბედვინა. ადამიანების უმრავლესობა ისე ვცხოვრობთ, ხშირად ვერ ვახერხებთ, ან გვავიწყდება ორი მეტად მნიშვნელოვანი და საჭირო სიტყვის თქმა: მადლობა და ბოდიში, იმ ადამიანებისთვის, ვისაც ეკუთვნის. "ჩვენ ვივიწყებთ და ასე გვგონია, გაგვახსენდება მერე", მაგრამ როგორც ერთ კარგ ქართულ სიმღერაშია, მერე არაფერი არ არის. პირადად მეც ბევრისთვის ვერ მოვახერხე ისეთი მადლობის გადახდა, როგორსაც იმსახურებდნენ. ზოგისთვის კი მობოდიშება.

ცოტა ხნის წინ შემთხვევით ხელში ჩამივარდა წიგნი "ცხოვრების გზა, კაცის ნიშან-სვეტი", რომლის ავტორიც გახლავთ ბატონი გია ბოჭორიშვილი. სამტრედია პატარა ქალაქია, ყველა ვიცნობთ ერთმანეთს, შორიდან მაინც. ყოველ შემთხვევაში ვიცით, ვინ ვინ არის, მაგრამ მართალი გითხრათ, გამაოცა ავტორისეულმა მიდგომამ თავისი ქალაქისადმი, ოჯახისადმი, სამშობლოსადმი. არ მეგონა, ჩვენ გვერდით კიდევ თუ იყვნენ ადამიანები, რომლებიც ასე საჯაროდ გამოხატავდნენ თავიანთ აზრს, უმრავლესობა კი ილიას სიტყვებს ვიშველიებთ: "რა ჩემი ჭკუის საქმეა ნეტავ..."

მეც ამ დღეში ვარ, ხშირად მაქვს სურვილი დავაფიქსირო ჩემი აზრი ამა თუ იმ საკითხზე, მაგრამ ისევ ილიას სიტყვებს ვიშველიებ. დღეს კი საჯაროდ მინდა მადლობა გადაგიხადოთ, ბატონო გია, ასეთი პატრიოტობისათვის (დღეს თითქოს ეს სიტყვა გაიცვითა, მაგრამ მჯერა, ჭეშმარიტება უკვდავია). არ მგონია, თუ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც წარსულში მხოლოდ ცუდს არ ხედავენ და არც მომავალია უალტერნატივოდ ევროპა, ცალ ფეხზე მდგარებმა რომ ველოდოთ. "ჯერ კიდევ როდის გვიხდიდნენ ბოდიშს!/

ჯერ კიდევ როდის ფოთობდა ფოთი!/

ჯერ კიდევ როდის იწერებოდა "წამებულ წმინდა შუშანიკისა"/

ჯერ კიდევ როდის"... ეს ისე, სხვათა შორის.

და მართალი გითხრათ, გულწრფელად ამ წიგნმა დამანახა სამშობლოზე მოფიქრალი ადამიანი, რომელიც იმას აკეთებს, რაც შეუძლია. კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას, ბატონო გია.

და ბოლოს, გურამ რჩეულიშვილის ერთი მოთხრობის ფინალი მახსენდება (ეს მოთხრობა სრულად განსხვავებულია ამ კონტექსტისგან. მოქმედება ერთ პატარა ზღვისპირა ქალაქში ხდება, მაგრამ ფინალი კი სწორედ რომ შეესიტყვება ჩემს დღევანდელ ნაფიქრს). საღამოს ზღვისპირა ბარში გოგონა და ვაჟი ხვდებიან ერთმანეთს და იმ დღევანდელი დღის ამბებს იხსენებენ და იმ დღის გეგმებზე საუბრობენ. როცა გოგონა სევდიანად ამბობს, არ მეგონა, თუ კიდევ არსებობდნენ ასეთი ადამიანები, ვაჟი იმედიანად პასუხობს: იმედიანად პასუხობს: მენდეთ, არსებობენ, მართალია ცოტანი, მაგრამ მაინც არსებობენ.

დიახაც, ცოტანი, მაგრამ მაინც არსებობთ. და ამან გადამაწყვეტინა საჯაროდ მადლობის თქმა. მადლობა, ბატონო გია! (ვინ იცის, იქნება გავბედო და დავიწყო მადლობებისა და მობოდიშების სერიები, სიბერეში წერის სურვილი გამიჩნდა, თუ წერას ვყავარ ატანილი ვერ გეტყვით).

პატივისცემით "ბავშვთა საავადმყოფოს" დირექტორი ქეთევან ფანცულაია

P.S. თუმცა სადღაა "ბავშვთა საავადმყოფო" მხოლოდ სახელი შემოგვრჩა. ისე დასანანი კია, რომ ამ პატარა შენობის კედლებში, სადაც ბავშვთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის სადარაჯოზე იდგნენ ისეთი ღვაწლმოსილი ექიმები, როგორებიც იყვნენ ბატონი ვახტანგ დუნდუა (მამა), ქალბატონი ირა მიქაშავიძე და სხვა. დღეს ასეთ მდგომარეობაში იყოს. მაგრამ ერთი უბრალო მოხევის სიტყვებით ვიმშვიდებთ თავს. "სახელი გრჩება იმეთაი..."

ქ. ფ.

ბარბარეს საჩუქარი იტალიის ნომერ პირველ ფეხბურთელს ხვიჩა კვარაცხელიას

ნიკა და საბა თევზაძეებს!

საჯარო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრებას ვულოცავ ოქროს ბიჭებს, ასევე ინტელექტუალური თამაშების "რა? სად? როდის?" გამარჯვებული და აბსოლუტური ჩემპიონის, მე-3 საჯარო სკოლის გუნდის საუკეთესო წევრებს, ნიკა და საბა თევზაძეებს, ვუსურვებ, მომავალშიც ბევრჯერ ეამაყოს, მათი წარმატებული ამბებით თევზაძეების დიდ ოჯახს და მშობლიურ, მე-3 საჯარო სკოლას. მალე ბედნიერი სტუდენტობა მომელოცოს თქვენთვის, ბიჭებო!

ნინო ნანიტაშვილი

კვლავ წარმატება

საქართველოს ოცდამეათე ჩემპიონატს უმასპინძლა ამ დღეებში სენაკმა კინგ-ბოგსინგში. ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზეს სამტრედიის კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი ივანე კილტავა) აღსაზრდელებმა, მწვრთნელ-მასწავლებელი კობა კიკაჩეიშვილი. ადგილები ასე განაწილდა:

პირველი ადგილის მფლობელები ბაბილინა და ლუკა კიკაჩეიშვილები, საბა ერქვანია და ალეკო ხუჯაძე გახდნენ.

მეორე ადგილს სანდრო ჩიტეიშვილი, ავთო როხვაძე და ლექსო ნათენაძე დასჯერდნენ. ხოლო მესამე ადგილზე დათო ხუჭუა და ზვიად კვანჭიანი გავიდნენ.

შესაბამისი დიპლომებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ გამარჯვებულები.

ვულოცავთ სამტრედიელ სპორტსმენებს კიდევ ერთ წარმატებას!

ლევან გაბეჩავა

გულოცავთ!

ნათელა გელეიშვილს!

გილოცავთ! მზითა და სიყვარულის შუქით სავსე დედა, ბებია, მეუღლე, ქვაკუთხედი და მოჭირნახულე როგორც ოჯახის, ასევე თავისი მეგობრების, უცნობის თუ ნაცნობის, თავის სამშობლოზე ფიქრით დამაშვრალი ქალბატონი ნათელა გელეიშვილის დაბადების დღეა. გილოცავთ საოცრად თბილო, საიმედო და უღალატო მეგობარო ულამაზეს თარიღს. ჯანმრთელობას და მზეგრძელობას გისურვებთ! მრავალ, მრავალ წელს თქვენი ფუსფუსი და თვალთა შენთა შუქი ძვირფასო თქვენს ლამაზ, სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე ოჯახს!

დაგლოცოთ უფალმა!

პატივისცემით მაყვალა ჩირგაძე

ნათელა გელეიშვილს!

ჩვენო ძვირფასო ქალბატონო, უდიდესი სიყვარულით და საუკეთესო სურვილებით დაბადების დღეს გილოცავთ. გვინდა, დიდხანს ჯანმრთელად და ბედნიერად გვყავდე შენს დიდებულ ნაგრამთან ერთად. გვიყვარხარ და გვეამაყები.

მამუკა ახობაძე და ინდირა შონია

ღვაწლმოსილ ქალბატონს **ნათელა გელეიშვილს** ვულოცავთ დაბადების დღეს. უფლის მადლი და წყალობა არ მოჰკლებოდეს მას და მის დიდ ოჯახს.

ლევან გაბეჩავა

ნათელა გელეიშვილს!

დიდი პატივისცემით და სიყვარულით გილოცავთ, ქალბატონო ნათელა, დაბადების დღეს. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს თქვენს უსაყვარლეს ოჯახთან ერთად.

"სამტრედიის მაცნე"

ნათელა გელეიშვილს!

სიხარულით ველოდებით 17 ივნისის დილის გათენებას. გვიყვარს თქვენთან ერთად გატარებული ყველა წუთი; ბედნიერები ვართ იმით, რომ ნათელა გელეიშვილის მეგობრები გვქვია და ვცდილობთ, ეს საპატიო მისია ღირსეულად ვატაროთ.

81 წლის შესრულებას უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით გილოცავთ. გვინდა, ყოველი წლის მატება მხოლოდ სიკეთე და ბედნიერება მოგიტანოთ. გკოცნით და გეფერებით შენი მეგობრები: **ქეთევან ჭელიძე, დარეჯან ქავთარია, მზევინარ ბოხუა, ეთო არველაძე, ქეთევან გაჩეჩილაძე, ნინო ნანიტაშვილი**

გვანცა სანაძეს!

ჩვენს გვანცას, კეთილშობილს, გულწრფელს, სიყვარულიანს, საუკეთესო სურვილებით ვულოცავთ დაბადების დღეს. მისი ცხოვრების 33 წელი ბედნიერების, ჯანმრთელობის, სულიერი სიმშვიდის დასაბამი ყოფილიყოს მზისქვეშეთში. უფლის მფარველობა არ მოჰკლებოდეს ჩვენს გვანცას, რედაქციაში მისეული კეთილგანწყობა და თბილი ღიმილი ხმამაღალ ოვაციებად რომ მოჰყვება.

"სამტრედიის მაცნე"

სამტრედიის სასწრაფოს ექიმ საშა ნარჩემაშვილს, ექთან დარეჯან ჯულაყიძეს და მძღოლ გია კაკაურიძეს მინდა მადლობა გადავუხადო ჩემი შვილიშვილის, საბა ჭაფანძის გადარჩენისთვის. რომ არა მათი დროული მოსვლა ერისთავის ქუჩის №50-ში და სწორი სამედიცინო დახმარების გაწევა, ჩემი შვილიშვილის ცხოვრება შეიძლება, ფატალურად დასრულებულიყო. ღმერთმა საქართველოს უმრავლოს ასეთი ადამიანები!

ბებია დალი სტურუა

სამტრედიის ენერგო-პრო ჯორჯიას დასავლეთის ცენტრალური ფილიალის სამტრედიის მომსახურების ცენტრის დირექტორს, ბატონ შმაგი შენგელიას თავის თანამშრომლებთან ერთად დიდ მადლობას მოვახსენებ სოფელში გაწეული მნიშვნელოვანი საქმიანობისთვის.

უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ.

სოფელ მეორე ნიბორგზღვაში მცხოვრები ტარიელ ლეჭავა

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

მაცნე სამტრედიის

დირექტორი	ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი	ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი	თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი	ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა	მაკა პაპავა